პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 272 (12480) | სამშაბათი, 20 ნოემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი ლენინური პარტია მმართველი პარტიაა და იმაზე, თუ როგორ მოაწყობს იგი თავის საქმიანობას, სახალხო მეურნეობის მართვას, დამოკიდებულია კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელება. პარტიის პოლიტიკას საფუძვლად უდევს მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური პრინციპები. იგი ხელმძღვანელობს საზოგადოებას საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით. სწორედ ეს აძლევს შესაძლებლობას პარტიას დროზე შეამჩნიოს და განავითაროს ახალი, პროგრესული მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხარი დაუჭიროს მასების შემოქმედებითს ინიციატივას.

**ნ. ს. ხრუშჩოვი.**

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1962 წლის 19 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია საკითხი სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ მ ა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, სკკპ ზოგიერთი საოლქო კომიტეტისა და სამხარეო კომიტეტის მდივნები, რომლებიც მუშაობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე, პარტიის დიდი სამრეწველო ცენტრების საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნები და მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრები, სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობისა და მშენებლობის მინისტრები, მოკავშირე რესპუბლიკების გაერთიანება „სოფლტექნიკის" თავმჯდომარეები, ზოგიერთი საწარმოს დირექტორები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების მუშაკები, ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

# სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 19 ნოემბერს

**ამხანაგებო!**

XXII ყრილობის შემდეგ, რომელზეც მივიღეთ პარტიის მესამე პროგრამა, წელიწადზე ცოტა მეტმა ხანმა განვლო. ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ახალმა პროგრამამ ძლიერ დააჩქარა საზოგადოებრივი განვითარება. განვლილი წლის მანძილზე დიდი წარმატებები მოვიპოვეთ როგორც საშინაო ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზეც. სრული საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საქმე წარმატებით მიდის და ლენინურ კურსს, რომელსაც პარტია ახორციელებს, კარგი შედეგები მოაქვს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ასეთი ბაზის შექმნის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლის შესასრულებლადაც მიმართულია საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი. დაადგა რა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კურსს, ჩვენი პარტია ზუსტად ხელმძღვანელობს დიადი ლენინური მოძღვრებით.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლიდა, რომ მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა, მშრომელებმა დაამარცხეს ბურჟუაზია და ხელში აიღეს ძალაუფლება, პირველ პლანზე დგება ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის, აღრიცხვისა და კონტროლის, წარმოების მართვის საკითხები. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს აზრი გამოხატულია ლენინის სტატიის „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების" ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ თავებში.

„სახელმწიფოს მართვის ამოცანა, რომელიც ახლა პირველ პლანზე დადგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — წარმოადგენს კიდევ იმ თავისებურებას, რომ ახლა საქმე ეხება — და, შეიძლება ითქვას, პირველად ცივილიზებულ ხალხთა უახლეს ისტორიაში — ისეთ მართვას, როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას".

თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ კურსს, საბჭოთა ხალხმა თავისი შრომით შექმნა სოციალიზმის მძლავრი ეკონომიკა და ახლა, ამ ეკონომიკაზე დაყრდნობით, წარმატებით წყვეტს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანას.

ამხანაგებო! XXII ყრილობამ პარტიის ერთ-ერთ პირველი რიგის და უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას ვუყენებთ ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს. ახლა საქმე ეხება სამეურნეო მუშაობის არა უბრალო გაუმჯობესებას, არამედ სახალხო მეურნეობისადმი პარტიის ხელმძღვანელობის ისეთ ორგანიზაციულ გარდაქმნას, რომელიც უზრუნველყოფს პარტიის გადაწყვეტილებათა კიდევ უფრო წარმატებით განხორციელებას.

ყრილობის შემდეგ განვლილი წლის მანძილზე ცენტრალური კომიტეტის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ბევრს მუშაობდა მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე მივიღეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ახალი სტრუქტურა — შეიქმნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები. ამ ორგანოების მუშაობა მოწმობს, რომ გამონახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის უფრო სრულყოფილი ფორმა.

მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ჩვენ უკვე გვაქვს ახლებურად ხელმძღვანელობის ხანგრძლივი გამოცდილება — ჩვენი სახალხო მეურნეობის საბჭოები ხუთ წელზე მეტია მუშაობენ. მრეწველობის წარმატებითი განვითარება ადასტურებს განხორციელებულ ღონისძიებათა სისწორეს.



ამრიგად, პარტიამ განახორციელა მრეწველობის, მშენებლობისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სამეურნეო ორგანოების მუშაობის გარდაქმნა. მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილზე როდი დგას — ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად იზრდება, კომუნისტურ მშენებლობას სულ უფრო მეტი გაქანება ეძლევა, ხელმძღვანელობის ამოცანები სულ უფრო რთული ხდება. **დღის წესრიგში დგება სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის საკითხი.**

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს XXII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და პარტიის ახალი პროგრამით, ითვალისწინებს უკანასკნელი წლების გამოცდილებას და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შემოაქვს წინადადებანი სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლის ორგანიზაციის შესახებ.

## I.

## სახალხო მეურნეობის ზრდა და პარტიული ხელმძღვანელობის ახალ ფორმებზე გადასვლის საჭიროება

ამხანაგებო! ჩვენი პარტია უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით XX ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში, დიდ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნას, რომელმაც უკვე მოგვცა საგრძნობი შედეგები, ჰქონდა არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც. როცა ამ გარდაქმნას ახორციელებდა, პარტიამ გადაჭრით დაამსხვრია საქმისადმი უწყებრივ-ბიუროკრატიული მიდგომის ბევრი მოძველებული ფორმა, რომლებიც შეიქმნა სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სერიოზულ მუხრუჭად გადაიქცა.

ყველას ახსოვს, რომ XX ყრილობის ლენინურ კურსს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა ხელმძღვანელობის ძველი ფორმები და მეთოდები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ლენინიზმის სულისკვეთებას. თანმიმდევრულად იცავდა და ავითარებდა რა ლენინურ პრინციპებს, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმებს, პარტიამ გადაჭრით ჩამოიშორა ის ადამიანები, რომლებიც ებღაუჭებოდნენ ძველს და უკან ეწეოდნენ პარტიას. ამით ფართო შესაძლებლობები შეექმნა სახალხო ინიციატივის, მილიონიანი მასების შემოქმედების განვითარებას.

## შვიდწლიანი გეგმის შესრულების ოთხი წლის ზოგიერთი შედეგი

გავიდა შვიდწლედის ოთხი წელი. ახლა შეიძლება შევაჯამოთ განვლილ პერიოდში მისი შესრულების ზოგიერთი შედეგი.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შვიდწლიანი გეგმა, რომლის მიღებას წინ უძღოდა საკონტროლო ციფრების საყოველთაო-სახალხო განხილვა, შედგენილია ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებისა და რეზერვების უფრო სრული გათვალისწინებით. ჩვენი პარტია სწორად მოიქცა, როცა დასახა სახალხო მეურნეობის განვითარების სავსებით რეალური გეგმა ცალკეულ დარგებს შორის უფრო გონივრული პროპორციებით, გაითვალისწინა რა არსებული რესურსები და შესაძლებლობანი. რასაკვირველია, წლიური გეგმების დამტკიცებისას მათში შეაქვთ ესა თუ ის შესწორებანი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის კიდევ უფრო წარმატებით განვითარების მიზნით.

ვნახოთ, თუ როგორ მიმდინარეობს შვიდწლიანი გეგმის შესრულება 1959-1962 წლებში:

| | გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრებით ოთხი წლისათვის | ფაქტიურად შესრულდება ოთხ წელიწადში | ფაქტიურად მეტია, ვიდრე გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრებით ოთხი წლისათვის | გეგმის შესრულების პროცენტი ოთხ წელიწადში |
|---|---|---|---|---|
| მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია — მილიარდი მანეთი | 623 | 651 | 28 | 104,5 |
| აქედან: | | | | |
| „ა" ჯგუფა | 420 | 445 | 25 | 106 |
| „ბ" ჯგუფი | 203 | 206 | 3 | 102 |
| სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა — მილიარდი მანეთი | 101 | 107 | 6 | 106 |
| ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა — მილიარდი ტონა-კილომეტრი | 7462 | 7750 | 288 | 104 |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვა 1958 წლის ფასებით — მილიარდი მანეთი | 314 | 317 | 3 | 101 |

როგორც ვხედავთ, შვიდწლიანი გეგმის დავალებანი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით სრულდება.

მრეწველობის პროდუქციის მატება 1959-1962 წლებში შეადგენს 45 პროცენტს ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 39 პროცენტისა, აქედან „ა" ჯგუფის დარგებში (წარმოების საშუალებანი)—51 პროცენტს ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 41 პროცენტისა. ამ პერიოდში შავი მეტალურგიის პროდუქცია 1,4-ჯერ დიდდება, ფერადი მეტალურგიის და ნავთობის მრეწველობისა—1,5-ჯერ, გაზის მრეწველობისა — 2,5-ჯერ, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის, ქიმიური და რეზინის მრეწველობის წარმოება — 1,6-ჯერ, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავებისა — 1,8-ჯერ, საშენ მასალათა მრეწველობის პროდუქციისა — 1,7-ჯერ.

დავალების გადამეტებით ამ წლებში წარმოებულ იქნება 28 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა საკონტროლო ციფრების გადამეტებით მიიღებს: 2,5 მილიონ ტონა თუჯს, დაახლოებით 13 მილიონ ტონა ფოლადს, 11 მილიონ ტონა შავი ლითონების ნაგლინს, თითქმის 17 მილიონ ტონა ნავთობს, 850 მილიონ მანეთისაზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, 35 ათას ცალ ტრაქტორს, 60 ათას ცალ ლითონსაჭრელ ჩარხს, 650 მილიონი მანეთის ხელსაწყოებსა და ავტომატიზაციის საშუალებებს. გადაჭარბებით სრულდება შვიდწლედის დავალებანი აგრეთვე რაფინირებული სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, თუთიის, ნიკელის, სინთეზური ამიაკისა და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების დარგში.

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საფუძველზე ვითარდება „ბ" ჯგუფის (მოხმარების საგნები) წარმოება. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო პირველ ოთხ წელიწადში „ბ" ჯგუფის დარგების წარმოების გადიდება 33 პროცენტით, ფაქტიურად ოთხ წელიწადში იგი დიდდება 34 პროცენტით.

დავალების გადამეტებით წარმოებულია: 1,3 მილიარდი გრძივი მეტრი ქსოვილები, 189 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, 88 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელ, 617 ათასი ცალი ტელევიზორი, 413 ათასი ცალი სარეცხი მანქანა, 500 მილიონ მანეთისაზე მეტი ავეჯი. ათასობით შეიქმნა და წარმოებაში დაინერგა უახლესი ტიპების მანქანები, ჩარხები, აპარატები, ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი.

მთლიანად მრეწველობა კარგად მუშაობს. მაგრამ მას შეეძლო გაცილებით უკეთ ემუშავა. სამწუხაროდ, არ სრულდება ელექტროენერგიის, გაზის, სინთეზური ბოჭკოსა და ფისის, პლასტიკური მასების, ტურბინების, თბომავლების, ვაგონების, ნავთობაპარატურის წარმოების დავალებანი. საკონტროლო ციფრების დავალებებს ჩამორჩება სახალხო მოხმარების მთელი რიგი საგნების წარმოება.

არა მარტო ჩვენს წარმატებებს უნდა აღვნიშნავდეთ, არამედ ნაკლოვანებებსაც ვხედავდეთ, სწორად ვაფასებდეთ მათ და მივიღოთ ზომები, რათა საგეგმო დავალებანი ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულდეს.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ერთი დიდმნიშვნელოვანი, პრინცი-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

პული მხარე. საქმე ეხება სწორ თანაფარდობას წარმოების საშუალებათა მრეწველობისა და მოხმარების საშუალებათა მრეწველობის განვითარებაში.

ჩვენ კვლავაც განუხრელად დავიცავთ წარმოების საშუალებათა უპირატესი განვითარების ლენინურ კურსს. თუ არ განვავითარეთ წარმოების საშუალებანი, ისე ვერ უზრუნველვყოფთ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას, სათანადო დონეზე ვერ შევინარჩუნებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ამასთანავე მუდამ უნდა ვზრუნავდეთ სწორ პროპორციებზე წარმოების საშუალებათა და მოხმარების საშუალებათა განვითარებაში. როგორც უკვე ვთქვი, შვიდწლედის ოთხ წელიწადში „ა“ ჯგუფის მრეწველობის საერთო პროდუქცია წარმოებულია 25 მილიარდი მანეთით, ესე იგი საგეგმო დავალებაზე ექვსი პროცენტით მეტი, ვიდრე საკონტროლო ციფრებით იყო გათვალისწინებული. ამავე დროს „ბ“ ჯგუფის პროდუქციამ სამი მილიარდი მანეთით, ანუ მხოლოდ ორი პროცენტით გადაამეტა საგეგმო დავალებას. უნდა განვახორციელოთ დამატებითი ღონისძიებანი, რათა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება უფრო დაჩქარებული ტემპებით ვითარდებოდეს. პარტიულმა, სამეურნეო და საგეგმო ორგანოებმა უფრო გონივრულად უნდა გაანაწილონ მატერიალური სახსრები სახალხო მეურნეობის დარგებს შორის, ამასთან მხედველობაში იქონიონ სახალხო მოხმარების იმ საქონლის წარმოების გადიდება, რომელიც ჯერ კიდევ არ გვყოფნის.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში უაღრესად განვითარდა კაპიტალური მშენებლობა. განსაკუთრებით დიდი გაქანებით მიმდინარეობს იგი ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 1959-1962 წლებში მიაღწევს 107 მილიარდ მანეთს და თითქმის 6 მილიარდი მანეთით მეტი იქნება, ვიდრე გათვალისწინებული იყო ამ წლებისათვის. ამასთან სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საშუალო წლიური მატება 11 პროცენტი იქნება, ნაცვლად შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული 8,6 პროცენტისა. ამჟამად მარტო ერთ წელიწადში სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია ერთნახევარჯერ მეტი სახსრები, ვიდრე დაბანდებული იყო პირველ და მეორე ხუთწლედებში ერთად.

კაპიტალური მშენებლობის ფართო გაქანებამ უზრუნველყო ის, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და განახლდა საწარმოო სიმძლავრეთა ძირითადი ფონდები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. შვიდწლედის ოთხ წელიწადში ძირითადი სახელმწიფო ფონდები დაახლოებით 100 მილიარდი მანეთით, ანუ 50 პროცენტით გაიზრდება, აქედან — მრეწველობის ძირითადი ფონდები — 40 მილიარდი მანეთით, ანუ 50 პროცენტით და მეტად. 1963 წლის 1 იანვრისათვის ოთხ წელიწადში ახლად ამუშავებული მრეწველობის ძირითადი ფონდების ხვედრითი წონა 42 პროცენტი იქნება.

**შვიდწლედის ოთხ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა 3.700-ზე მეტი ახალი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. მრეწველობაში შეიქმნა ახალი საწარმოო სიმძლავრენი, რომლებიც თავიანთი ოდენობით აღემატებიან ომამდელი ხუთწლედების მთელ პერიოდში შექმნილ სიმძლავრეებს.**

შემდგომ განვითარდა **ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის საშუალებანი.** გადაჭარბებით სრულდება შვიდწლედის დავალებანი რკინიგზის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის და საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის დარგში. გაწეულია დიდი მუშაობა ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის. ელექტროფიცირებულია 8.5 ათასი კილომეტრი რკინიგზები, დამთავრდა ელექტროფიკაცია უდიდესი სარკინიგზო მაგისტრალის — მოსკოვ-ბაიკალის ხაზისა, რომლის სიგრძე 5,5 ათასი კილომეტრია, აგრეთვე მოსკოვ-დონბასის მაგისტრალისა. ახლა მთელი სარკინიგზო ტვირთზიდვის 60 პროცენტზე მეტს ელმავლები და თბომავლები ახორციელებენ.

პარტიამ და მთავრობამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი ღონისძიებანი განახორციელეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ყამირი მიწების ათვისების შემდეგ, სერიოზული ცვლილებები მოხდა მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში, რამაც საუკეთესო პირობები შექმნა მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ამ წლებში შეიქმნა ათასობით ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობა. განუზომლად გაიზარდა მათი როლი კომუნისტურ მშენებლობაში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპი უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს სოფლის მეურნეობას, ახალ ამოცანებს სახავს მის წინაშე. ამ ამოცანების გადასაჭრელად უნდა წარვმართოთ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, ყველა საბჭოთა ადამიანის ღონისძიებანი.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებამ შექმნა შესაძლებლობა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მოვიყვან მონაცემებს. თუ როგორ გაიზარდა საქონელბრუნვა და როგორ გაფართოვდა საბინაო მშენებლობა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა შვიდწლედის ოთხ წელიწადში თითქმის 32 პროცენტით გაიზრდება ნაცვლად შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული 30.4 პროცენტისა. ამ წლებში მნიშვნელოვანი ოდენობით გადიდდება ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გაყიდვა. მაგრამ ჩვენ არ გვყოფნის მთელი რიგი საქონელი, მათგან ზოგიერთი ჯერ კიდევ დაბალხარისხოვანია. ამასთან ხდება ხოლმე, რომ უშვებენ გაუსაღებელ საქონელს, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილება არ არის.

უდიდესი მოცულობით ხორციელდება საბინაო მშენებლობა. შვიდწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 325 მილიონი კვადრატული მეტრია, ანუ დაახლოებით 9 მილიონი ახალი ბინა. გარდა ამისა, სოფლად აშენდა 2 მილიონ 400 ათასი საცხოვრებელი სახლი. 50 მილიონ საბჭოთა ადამიანს გაუუმჯობესდა საბინაო პირობები.

ზრუნვა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის კვლავაც იქნება პარტიის საქმიანობის ყურადღების ცენტრში.

ამხანაგებო! ჩვენი ეკონომიური მშენებლობის წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, უფრო სრულად რომ ვიყენებდეთ სახალხო მეურნეობის რეზერვებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ განიხილეს 1963 წლის — შვიდწლედის მეხუთე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. პროექტში გათვალისწინებულია საერთო პროდუქციის გამოშვების გადიდება 8 პროცენტით, აქედან „ა“ ჯგუფის მრეწველობაში — 8,5 პროცენტით და „ბ“ ჯგუფის მრეწველობაში — 6,3 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 33 მილიარდ მანეთზე მეტი იქნება. შრომის ნაყოფიერება გათვალისწინებულია გადიდდეს: მრეწველობაში — 5.6 პროცენტით, მშენებლობაში — 6,9 პროცენტით. პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქიმიის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, სატყეო და ქაღალდის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას, ახალ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებას, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას მრეწველობასა და მშენებლობაში.

სოფლის მეურნეობის დარგში გათვალისწინებულია ნათესი ფართობების სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესების გადიდება 13 მილიონი ჰექტარით. გეგმით განსაზღვრულია 1963 წელს შესყიდულ იქნას 4 მილიარდი ფუთი პური. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ მარცვლის წარმოება და მომავალ წელს შევისყიდოთ 4 მილიარდ 200 მილიონი — 4 მილიარდ 500 მილიონი ფუთი. ხორცის შესყიდვა დაგეგმილია 9.5 მილიონი ტონის ოდენობით, რძისა — დაახლოებით 35 მილიონი ტონის ოდენობით.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, შვიდწლედის მეხუთე წელს მოგველის სერიოზული მუშაობა, რათა უზრუნველვყოთ შვიდწლიანი გეგმის წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. ამ მიზანს მივაღწევთ, თუ კიდევ უფრო სრულვყოფთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს.

## პარტიული ორგანოების ახლანდელი სტრუქტურა და ნაკლოვანებანი მეურნეობის ხელმძღვანელობაში

ამხანაგებო! უკანასკნელი ხნის გამოცდილება მოწმობს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების შექმნა დადებით შედეგებს იძლევა. ამასთან ერთად ნათელი ხდება ისიც, რომ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის არ შეიძლება დავჯერდეთ მარტო სამეურნეო ორგანოების გარდაქმნას. **მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ორგანიზაციულად გარდაიქმნას სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა ცენტრში და ადგილებზე.**

რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების აგების ამჟამად არსებული ტერიტორიული პრინციპი შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და დადებითი როლი შეასრულა.

თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა მისი სახალხო მეურნეობა გიგანტურად გაიზარდა, განუზომლად ამაღლდა პარტიის როლი ჩვენი ქვეყნის მთელ ცხოვრებაში, განსაკუთრებით სამეურნეო მშენებლობაში. ახლა ძველი ორგანიზაციული ფორმები უკვე ხდება ერთგვარი მუხრუჭი წარმოებისადმი პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში.

შეიძლება იკითხოთ — განა ახლა პარტიული ორგანოები არ ხელმძღვანელობენ სახალხო მეურნეობას, ხოლო პარტიული ხელმძღვანელები ნაკლებ გამოცდილი გახდნენ? არა, ამხანაგებო, საქმე ასე როდია. ჩვენი კადრები გაცილებით უფრო გამოცდილი გახდნენ. და, რა თქმა უნდა, შეუძლიათ უფრო წარმატებით უხელმძღვანელონ მრავალფეროვანი სამეურნეო მშენებლობის ყველა მხარეს. მაგრამ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მასშტაბები, მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ წინათ შექმნილი ფორმები მეურნეობისადმი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობისა უკვე ველარ მოიცავენ ეკონომიკის განვითარებაში ყოველდღიურად წამოჭრილ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ძველი სტრუქტურა თითქოს ბოჭავს ჩვენს მოქმედებას, გვიკრავს ხელფეხს, საშუალებას არ გვაძლევს მთლიანად გავშალოთ პარტიული ორგანიზაციების ინიციატივა წარმოების ყველა დარგის ხელმძღვანელობაში.

ჩვენი წინსვლის ტემპები ახლა უმთავრესად დამოკიდებულია პარტიის პოლიტიკური ხაზის განხორციელების ორგანიზაციის უნარზე. ამიტომ საჭიროა განვახორციელოთ კარდინალური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიული ორგანოების უფრო კონკრეტულ და გეგმაზომიერ ხელმძღვანელობას წარმოების ყველა დარგისადმი.

როგორ გვაქვს სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის საქმე.

პარტიული ორგანოები, რომლებიც აგებულია ტერიტორიული პრინციპით, მოწოდებული არიან ერთნაირად იმუშაონ როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის საკითხებზე. პრაქტიკაში კი ხშირად საქმე ისე წარიმართება, რომ პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები იძულებული არიან დაქსაქსონ თავიანთი ძალები, ხელი მოჰკიდონ ხან ერთ, ხან მეორე საქმეს. ყოველივე ეს წარმოშობს კამპანიურ ხასიათს პარტიულ ხელმძღვანელობაში: პარტიული ორგანოები ხან მთელ თავიანთ ღონისძიებებს ახმარენ სოფლის მეურნეობას და რამდენადმე ასუსტებენ ყურადღებას მრეწველობის და კომუნისტური მშენებლობის სხვა საკითხებისადმი, ხან ისინი მთლიანად გადადიან მრეწველობაზე და ასუსტებენ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი კამპანიური ხელმძღვანელობა, ვიმეორებ, იმის შედეგი როდია, რომ არ გვყოფნის ძალები და გამოცდილი კადრები. ახლა ჩვენს ქვეყანას ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ამიტომ კამპანიურობა ხელმძღვანელობაში იმის შედეგია, რომ პარტიული ორგანოების ახლანდელი სტრუქტურა არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების თანამედროვე ამოცანას.

როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტი ამახვილებს ყურადღებას სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი, მაშინ მთელი პარტია, მთელი ხელმძღვანელობა — საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური—მთავარ ყურადღებას აქცევს სახალხო მეურნეობის ამ უბანს და მხედველობიდან უშვებს მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების საკითხებს. ხელმძღვანელობის შესუსტებას, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ გრძნობენ საწარმოთა და მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები.

თქვენ იცით, რომ პარტიული კომიტეტების პლენუმები პარტიული ორგანიზაციების ყურადღებასა და ძალებს წარმართავენ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანებისაკენ. ვნახოთ, რა საკითხებს განიხილავდნენ უკანასკნელ ხანს პარტიული კომიტეტების პლენუმებზე? უკანასკნელი წლის განმავლობაში მოკავშირე რესპუბლიკებში გაიმართა ცენტრალური კომიტეტების 60 პლენუმი, რომლებმაც განიხილეს ასზე მეტი საკითხი, მათ შორის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაობის შესახებ სულ ხუთი საკითხი. რუსეთის სფსრ 25 ყველაზე დიდ სამრეწველო ოლქში, მხარესა და ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთი წლის მანძილზე პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების პლენუმებმა განიხილეს 215 სხვადასხვა საკითხი, მათ შორის მრეწველობის შესახებ მხოლოდ 14. საქმე, რა თქმა უნდა, მარტო განხილულ საკითხთა რაოდენობა როდია. მაგრამ მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რომ პარტიული ორგანოები აშკარად არ აქცევენ ყურადღებას მრეწველობის მუშაობასა და კაპიტალურ მშენებლობას.

პარტიული ორგანოების არსებული სტრუქტურის ნაკლოვანებანი შეიძლება ცხადვყოთ მოსკოვის ოლქის მაგალითით. ოლქის მრეწველობა ყოველწლიურად აწარმოებს 7-8 მილიარდი მანეთის საერთო პროდუქციას. ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე ათასი საწარმო, 67 ქალაქი და 63 ქალაქის ტიპის დაბა. როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მაშინ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი და სხვა მდივნები შორდებიან მრეწველობის ხელმძღვანელობას. ამასთან ოლქში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მცირე ხვედრითი წონა აქვს, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოებაში.

თუ რა მოჰყვება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერი, მიზანდასახული ხელმძღვანელობის უქონლობას, შეიძლება ცხადვყოთ აგრეთვე აზერბაიჯანის მაგალითით. რესპუბლიკის პარტორგანიზაცია იძულებულია ხელი მოჰკიდოს ხან მრეწველობას, ხან სოფლის მეურნეობას. მაგრამ ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობის ამ დარგებში ნელა ისპობა. არის სერიოზული შეცდომები მრეწველობის მუშაობაში. სოფლის მეურნეობაში უყურადღებოდ მიტოვებულია მისი უმნიშვნელოვანესი დარგები — მებამბეობა და მეცხოველეობა. ბამბის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა რესპუბლიკაში კვლავ ყველაზე დაბალია ჩვენს ქვეყანაში.

როცა ვლაპარაკობთ პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნაზე, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა გვქონდეს ჩვენი პარტიული კადრების უფრო სწორი გამოყენება, მათი უკეთ განაწილება. პარტიული კომიტეტების ახლანდელი სტრუქტურის პირობებში კი თავს იჩენს ცალმხრივი მიდგომა, კვალიფიციური ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილია წარმოების ხან ერთი, ხან მეორე მხარე: სოფლის მეურნეობა ან მრეწველობა.

ყოველთვის როცა, ისმება საკითხი ამა თუ იმ ოლქის პარტიული თუ საბჭოთა ხელმძღვანელების დაწინაურების შესახებ, ჩვენ ვდგებით არჩევანის წინაშე, ამა თუ იმ მუშაკის თანაბარი თვისებების პირობებში რა სპეციალობას მივცეთ უპირატესობა: იმას, ვინც კარგად იცის მრეწველობა, თუ სოფლის მეურნეობის სპეციალისტს. მართლაც, ვინ უფრო მიზანშეწონილია დავაწინაუროთ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობაში, მაგალითად, ისეთ ოლქებში, როგორიც არის ჩელიაბინსკის, ხარკოვის, ყარაგანდის ოლქები, სადაც დიდი მრეწველობაა და მცირე მნიშვნელობა როდი აქვს აგრეთვე სოფლის მეურნეობას?

დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ კადრების შერჩევის დროს პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, როცა წყდებოდა საკითხი პარტიის რაიკომების პირველი მდივნების შესახებ იმ რაიონებში, სადაც განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობაა. იქაც წყვეტენ, ვის მიანიჭონ უპირატესობა: მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის სპეციალისტს. პრაქტიკაში დამკვიდრდა ისე, რომ უფრო ხშირად ასეთ რაიონებში ხელმძღვანელობას სათავეში უდგანან მუშაკები, რომლებმაც იციან სოფლის მეურნეობა, და არა მრეწველობა. ყოველივე ამას ნებსით თუ უნებლიეთ მოჰყვება ის, რომ კადრების შერჩევის დროს ზიანს აყენებენ წარმოების ამა თუ იმ დარგს.

თუ გამოინახება სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა, მაშინ შესაძლებლობა გვექნება არსებული კადრებით უფრო გეგმაზომიერად განვავითაროთ ეკონომიკის ყველა დარგი. პარტიაში ახლა 10 მილიონზე მეტი კაცია. ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 20 მილიონი კომკავშირელია. პროფკავშირები აერთიანებენ 66 მილიონ მშრომელს. ჩვენი პარტია და ის ორგანიზაციები, რომლებსაც იგი უწევს ხელმძღვანელობას, უდიდესი ძალაა. მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში მიმდინარე წლის დამდეგისათვის მუშაობდა 3 მილიონ 655 ათასი კომუნისტი, სოფლის მეურნეობაში — დაახლოებით 2 მილიონი კომუნისტი. მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში ამჟამად მუშაობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 2 მილიონ 546 ათასი სპეციალისტი, მათ შორის 2 მილიონ 99 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი; სოფლის მეურნეობაში მუშაობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 559 ათასი სპეციალისტი, მათ შორის 412 ათასი აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტერინარი მუშაკი.

ამოცანა ის არის, რომ გამოვნახოთ უკეთესი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სწორად გამოვიყენოთ პარტიული და საბჭოთა კადრები, მეცნიერულ-ტექნიკური მუშაკები ეკონომიკის ყველა დარგში, უკეთ მოვაწყოთ მათი მუშაობა. ამ ღონისძიებათა შედეგად შევძლებთ ავამოქმედოთ ჩვენი რეზერვები, ჩავაყენოთ ისინი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მის მიერ მიღებული საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელების სამსახურში.

## გარდავქმნათ პარტიული ორგანოები კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად

უკანასკნელ ხანს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს არაერთხელ და ყოველმხრივ განუხილავს ცენტრალური კომიტეტის წევრებთან, ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ავაგოთ უკეთ ამჟამად სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაციული სტრუქტურა.

წინადადებანი, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეიმუშავა, ითვალისწინებდა იმას, რომ საჭიროა პარტიული ორგანოების აგებას თავიდან ბოლომდე საფუძვლად დავუდოთ **საწარმოო პრინციპი** და ამ გზით უზრუნველვყოთ მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის უფრო კონკრეტული პარტიული ხელმძღვანელობა.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების აგების საწარმოო პრინციპი ჩვენში დაცულია მხოლოდ პირველადს ორგანიზაციებში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომუნისტთა გაერთიანება მათი საწარმოო საქმიანობის ადგილის მიხედვით შესაძლებლობას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს მთავარი ყურადღება მიაქციონ საწარმოო საკითხებს, დაუქვემდებარონ ყველა სხვა სახეობის მუშაობა — ორგანიზაციული, იდეოლოგიური, კულტურულ-აღმზრდელობითი — ძირითადი ამოცანის გადაჭრას.

რაც შეეხება რაიონულ, საქალაქო, საოლქო რგოლს, იგი აგებულია ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. ასეთი აგების პირობებში პარტიული კომიტეტი იძულებულია მუშაობდეს ყველა საკითხზე, მისი მუშაკების ყურადღება გარდუვალად იქსაქსება და საწარმოო საკითხები დგება შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან საკითხთა გვერდით.

პარტიული ორგანოების თავიდან ბოლომდე აგების საწარმოო პრინციპი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პარტიული ორგანიზაციები აღარ იმუშავებენ ყოფაცხოვრების, განათლების, კულტურის საკითხებზე. პირიქით, როცა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ მთავარს — წარმოების საკითხებს, პარტიული ორგანიზაციები უფრო კონკრეტულად მოჰკიდებენ ხელს ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან. **ამრიგად, გარდაქმნის ძირითადი აზრი ის არის, რომ პარტიისა და მისი ორგანოების მთელი ღონისძიებანი ხმარდებოდეს კომუნისტური მშენებლობის გენერალური ამოცანების გადაჭრას.** პარტიის ახალ პროგრამაში კი ჩაწერილია, რომ პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანაა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვის უზრუნველყოფა.

განვიხილოთ, როგორა გვაქვს განზრახული ავაგოთ პარტიული ორგანოები, დაწყებული რაიონული რგოლით და დამთავრებული მოკავშირე რესპუბლიკებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტით.

სოფლად პარტიული ორგანოების ახალი აგება ნიშნავს იმას, რომ კომუნისტები, რომლებიც მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც სოფლის მეურნეობას უწევენ მომსახურებას, აგრეთვე საწარმოებში, სადაც ხდება სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავება, გაერთიანებული იქნებიან ერთ პარტიულ ორგანიზაციაში. ამ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი. რაც შეეხება სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის პარტიულ ორგანიზაციებს, მათს ხელმძღვანელობას განახორციელებს სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის პარტიული კომიტეტი.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნისას საჭიროა განვახორციელოთ, თუ რამდენად მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის თვალსაზრისით ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფა სოფლად.

რაიონები ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფაში 1923 წელს გაჩნდა. იმ დროს რაიონებთან ერთად არსებობდა აგრეთვე ძველი ადმინისტრაციული წარმონაქმნები — თემები და მაზრები. 1931 წლის დამდეგისათვის მთლიანად დამთავრდა დარაიონება და შემოღებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა — შეიქმნა დაახლოებით სამი ათასი რაიონი. წარსულში რაიონების ასეთი დანაწევრებული დაყოფა შეესაბამებოდა თავისი დროის პირობებს. მაშინ გლეხური მეურნეობა წვრილი, დაქუცმაცებული იყო. კოლმეურნეობები ის იყო შეიქმნა და წვრილ მეურნეობებს წარმოადგენდნენ. ბევრ სოფელში არ იყო არათუ პარტიული, არამედ კომკავშირული უჯრედებიც კი. სოფლის მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობა რომ უზრუნველგვეყო, საჭირო იყო შეგვექმნა რაიონული ორგანიზაციები იმ დროის პირობების შესაბამისად. ახლა მდგომარეობა სოფლად სულ სხვაა — იქ წარმოიშვა და განმტკიცდა მსხვილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებშიც არიან პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, სპეციალისტთა კადრები. ახლა სოფლად საჭირო აღარ არის ასეთი დანაწევრებული ადმინისტრაციული დაყოფა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ხორციელდებოდა მუშაობა რაიონების გამსხვილებისათვის. მაგრამ, მიუხედავად რაიონების უკვე განხორციელებული ერთგვარი გამსხვილებისა, ისინი კვლავ პატარა რჩებიან: ყველა რაიონის დაახლოებით 60 პროცენტის მოსახლეობა 40 ათასზე ნაკლებია თვითეულისა, აქედან 14 პროცენტისა — დაახლოებით 20 ათასი კაცი თვითეულში. ბევრია რაიონი, რომლებშიც 10 ათასზე ნაკლები კაცი ცხოვრობს. საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში ყოველ რაიონზე მოდის 14-15 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

ასეთია საშუალო ციფრები. მაგრამ ბევრია რაიონი, სადაც ოთხი-ექვსი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაა, რაიონული აპარატი კი თავისი სტრუქტურითა და შტატებით თითქმის ისეთივეა, როგორც დიდ რაიონებში.

ახლა ჩვენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძირითადად კარგი კადრები გვყავს. ამიტომ მართვის განუზომლად დიდი აპარატი იწვევს კოლმეურნეობათა გამგეობების, თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისადმი ზედმეტ მეურვეობას, მათი დამოუკიდებლობის, ინიციატივის გამოვლინების შესაძლებლობის შემცირებას. ისინი იძულებული არიან ფრთხილად იმუშაონ — დაელოდონ, თუ რას იტყვის რაიონის ესა თუ ის მუშაკი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში მიზანშეწონილი არ არის პატარა რაიონების არსებობა სოფლად. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის გაუმჯობესების ინტერესებისათვის ჩვენ უკვე მოვახდინეთ სასოფლო რაიონების გამსხვილება, როცა შევქმენით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები. სამმართველოთა მუშაობის გამოცდილებამ გაამართლა თავისი დანიშნულება. სულ სსრ კავშირში 961 სამმართველო იყო.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა გაითვალისწინეს, რომ ზოგიერთი არსებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველო ძალიან დიდია, და საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილიყო დაახლოებით ათას ხუთასი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო. რასაკვირველია, ყველას ესმის, რომ საწარმოო სამმართველოთა რაოდენობა არ არის სტაბილური და საბოლოო, რადგან საწარმოო პირობების შეცვლასთან ერთად შეიცვლება ასეთ სამმართველოთა რაოდენობა და მათი მუშაობის მოცულობა.

ახალი სასოფლო საწარმოო სამმართველოები ტერიტორიისა და მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის მიხედვით მნიშვნელოვნად უფრო დიდი იქნება ამჟამად არსებულ რაიონებთან შედარებით.

აი, მაგალითად, როგორი იქნება კურსკის ოლქის დმიტრიევის საწარმოო სამმართველო. ყოფილ კურსკის გუბერნიაში, რომლის ტერიტორიაზე შექმნილია ორი ოლქი — კურსკისა და ბელგოროდის ოლქები, წინათ 15

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

მაზრა იყო. ახლა ორ ოლქში 62 რაიონია. რას წარმოადგენდა ყოფილი დმიტრიევის მაზრა? მასში შედიოდა 18 თემი, რომლებშიც 150 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა, იყო 318 ათასი ჰექტარი მიწა. მაზრა შემდეგ ოთხ რაიონად დაიყო: დმიტრიევის, ხომუტოვკის, კონიშევკისა და მიხაილოვკის რაიონებად. ყველა რაიონი შედარებით პატარაა როგორც კოლმეურნეობების, მიწის სავარგულების, სახნავის რაოდენობით, ისე მცხოვრებთა რიცხვითაც. მაგრამ ყოველ მათგანში საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა რაიონულ დაწესებულებათა აპარატი.

კურსკისა და ბელგოროდის ოლქებში, ესე იგი ყოფილი გუბერნიის ტერიტორიაზე, ნაცვლად 62 სასოფლო რაიონისა, გათვალისწინებულია შეიქმნას 22 საწარმოო სამმართველო. ახალ დმიტრიევის სამმართველოში იქნება 70 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებსაც დაახლოებით 260 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აქვთ. ვფიქრობ, რომ ცხადია ასეთი ღონისძიების მიზანშეწონილობა. ჩვენში გაიზარდნენ კადრები, გამსხვილდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გაუმჯობესდა ურთიერთობა რაიონებს შიგნით და მათ შორის და ა. შ.

განვიხილოთ საკითხი სოფლის პარტიული ორგანოების შესახებ. გამოცდილებამ ცხადყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებით შექმნილმა სოფლის მეურნეობის მართვის ახალმა ორგანოებმა — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა დადებითი როლი შეასრულეს. ამ ორგანოებს ახლანდელ პირობებში ნამდვილად შეუძლიათ წარმატებით განახორციელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ხელმძღვანელობა და უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდა და განვითარება.

ამის შესაბამისად, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს არსებობდეს პარტიის სასოფლო რაიკომები. მათ ნაცვლად გათვალისწინებულია შეიქმნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები, რომლებიც განახორციელებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვა ორგანიზაციების პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობას.

ზოგ ამხანაგს შეიძლება კითხვა დაებადოს, რატომ არის გათვალისწინებული საწარმოო სამმართველოებში პარტიული კომიტეტის შექმნა და არა წინანდელი პარტიის რაიკომის დატოვება. ეს იმისათვის ხორციელდება, რომ პარტიული კომიტეტები უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

საწარმოო მიმართულება მთავარია. პარტიული კომიტეტების მუშაკები უნდა ცოცხლობდნენ ზრუნვით ამ მთავარისათვის, ფხიზლობდნენ და ფიქრობდნენ, რომ მთავარია კომუნისტურ მშენებლობაში ეკონომიკა, წარმოება, ბრძოლა ადამიანის ცხოვრებისათვის მატერიალური და სულიერი დოვლათის შესაქმნელად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების შექმნამ უნდა გააუმჯობესოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პარტიული ხელმძღვანელობა. საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მუშაკთა რიცხვი ახლანდელი რაიონული ორგანიზაციების აპარატთან შედარებით მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს.

საჭიროა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მთავარია წარმოება. თუ უშუალოდ წარმოებაში სუსტი კადრები, სუსტი ორგანიზატორები იქნებიან, მიუხედავად იმისა, რაიონს დავარქმევთ ამას, თუ საწარმოო სამმართველოს, საქმე ამით არ გაუმჯობესდება. საუკეთესო ადამიანები უნდა გავგზავნოთ წარმოების სფეროში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს მიაჩნიათ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის სათავეში იქნება მდივანი. ამ პარტიულ კომიტეტებში გათვალისწინებულია იყოს ინსპექტორ-პარტორგანიზატორთა ჯგუფი, მდივნის ორი მოადგილე, იდეოლოგიური და ორგანიზაციული განყოფილებანი. პარტიული კომიტეტების შტატები დიდი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, მიზანშეწონილია, რომ ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ განყოფილებათა გამგეები პარტკომის მდივნის მოადგილეები იყონ.

ინსპექტორ-პარტორგანიზატორთა ჯგუფი იმუშავებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების საკითხებზე, დახმარებას გაუწევს მათ მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მშენებლობის საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც განლაგებული არიან ქალაქებსა და საგარეუბნო ზონებში, ისევე როგორც ახლა, პარტიის საქალაქო კომიტეტები უხელმძღვანელებენ.

იმისათვის, რომ ვუხელმძღვანელოთ იმ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც განლაგებულია ახლად შესაქმნელ სასოფლო საწარმოო სამმართველოთა ტერიტორიაზე, სადაც პარტიის საქალაქო კომიტეტები არ არის, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო კომიტეტები, საოლქო კომიტეტები მოითხოვენ შეიქმნას ზონალური (ჯგუფური) სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტები.

ხაზს ვუსვამ, სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტები, და არა რაიონული კომიტეტები, ესე იგი აგებული არა ტერიტორიული, არამედ საწარმოო პრინციპით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტები, სამრეწველო-საწარმოო ზონების (ჯგუფების) პარტიული კომიტეტები მთელ თავიანთ საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ სკკპ წესდების შესაბამისი დებულებებით საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების შესახებ და სარგებლობდნენ პარტიის ახლანდელი რაიკომების, საქალაქო კომიტეტების ყველა უფლებით.

რადგან მთელ რიგ ოლქებსა და რესპუბლიკებში არის მსხვილი საწარმოები, რომლებიც დიდი მანძილით არიან დაშორებული საქალაქო და რაიონულ ცენტრებს, ისეთ საწარმოთა პარტკომებს, სადაც 500-ზე მეტი კომუნისტი ირიცხება, უნდა მიენიჭოთ შესაბამისი საწესდებო უფლებები, ისე რომ უშუალოდ დაექვემდებარონ პარტიის შესაბამის საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტს მრეწველობის დარგში. ამ წინადადებას მხარი უნდა დავუჭიროთ. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პარტიული ორგანიზაციები უნდა აერთიანებდნენ მხოლოდ იმ კომუნისტებს, რომლებიც მოცემულ საწარმოში მუშაობენ. არ შეიძლება ასეთი პარტკომები შევქმნათ ხელოვნურად, ისე რომ მათ მივამაგროთ სხვა წვრილი საწარმოების კომუნისტები.

როგორც ეტყობა, ადგილობრივი პარტიული ორგანოების წინადადებანი სოფლის მეურნეობის, სასოფლო საწარმოო სამმართველოებში მრეწველობისა და მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის ახალი სტრუქტურის შესახებ მიზანშეწონილია, რადგან ეს წინადადებანი მთლიანად შეესაბამებიან პარტორგანიზაციათა აგების საწარმოო პრინციპს თავიდან ბოლომდე.

გადავიდეთ ოლქებისა და მხარეების პარტიული ორგანოების გარდაქმნის საკითხზე. რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, ავიღოთ, მაგალითად, მოსკოვის ოლქი. ოლქის მოსახლეობა ცოტათი მეტია ხუთ მილიონზე, იქ არის 34 სასოფლო რაიონი, 67 ქალაქი, 300 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. მე უკვე ვთქვი, თუ რა დიდია მოსკოვის ოლქის საწარმოთა მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა. ოლქის პარტიული ორგანიზაციის რიგებში 274 ათასი კომუნისტი ირიცხება. ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიის 32 ათასი წევრი და კანდიდატია. საოლქო პარტორგანიზაციაში მოქმედებს პარტიის 22 სასოფლო რაიკომი და 27 საქალაქო კომიტეტი, აქედან 12 მრეწველობის პარტორგანიზაციებთან ერთად სასოფლო პარტორგანიზაციებსაც ხელმძღვანელობენ. ოლქში შექმნილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 8 ტერიტორიული საწარმოო სამმართველო.

მოსკოვის ოლქში გათვალისწინებულია შეიქმნას პარტიის 2 საოლქო კომიტეტი: ერთი მათგანი უხელმძღვანელებს სამრეწველო წარმოებას, მეორე — სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

პარტიის საოლქო კომიტეტი სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის დარგში გააერთიანებს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოთა თითქმის ოთხი ათას პირველადს პარტორგანიზაციას, რომელთა კომუნისტების რიცხვი 220 ათასზე მეტია, პარტიის 32 საქალაქო კომიტეტს. პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის დარგში გააერთიანებს ათასზე მეტ პირველადს პარტორგანიზაციას, რომლებშიც 50 ათასი კომუნისტია. ოლქში იქნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა 12 პარტიული კომიტეტი.

როგორც ხედავთ, აქ ყველაფერი საკმაოდ მკაფიოდ ნაწილდება. პარტიის როგორც ერთ, ისე მეორე საოლქო კომიტეტს აქვთ თავიანთი ძალების გამოყენება და წარმოების კონკრეტული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის ასპარეზი.

საოლქო კომიტეტების აპარატი ახალი სტრუქტურის დროს სხვანაირი იქნება, ვიდრე ახლა არის. ამჟამად პარტიის საოლქო კომიტეტში არის ხუთი მდივანი და 10 განყოფილება. პარტიის საოლქო კომიტეტს სამრეწველო წარმოების დარგში შეიძლება ჰყავდეს, მაგალითად, ორი მდივანი და შესაბამისი განყოფილებანი. პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში აგრეთვე შეიძლება ჰყავდეს, მაგალითად, ორი მდივანი და საჭირო განყოფილებანი. ახლანდელ მდგომარეობაში, პირველ მდივანს მარტოოდენ იმისათვის, რომ მიიღოს საოლქო კომიტეტის სხვა მდივნები, სჭირდება თითქმის მთელი დღე, როდისღა უნდა იმუშაოს?!

ამავე მაგალითისამებრ განაწილდება აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა რუსეთის ფედერაციის სხვა ოლქებსა და მხარეებში.

ყველა ოლქსა და მხარეში, სადაც იქმნება პარტიის საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში, შეიქმნება მშრომელთა დეპუტატების ორ-ორი დამოუკიდებელი საბჭო და მათი აღმასკომები. ერთი მათგანი მოემსახურება სამრეწველო წარმოებაში დასაქმებულ მოსახლეობას, ხოლო მეორე — სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულს.

გადავიდეთ მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური პარტიული ორგანოების გარდაქმნაზე.

რა თქმა უნდა, თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში წინანდებურადვე უნდა იყოს ერთი ცენტრალური კომიტეტი, რათა იყოს მთელი რესპუბლიკის, მთელი ეკონომიკის, მთელი კომუნისტური მშენებლობის ერთიანი ხელმძღვანელობა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის თვითეულ ცენტრალურ კომიტეტში უნდა შეიქმნას ორი ბიურო: ცენტრალური კომიტეტის ერთი ბიურო სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობისათვის, ხოლო ცენტრალური კომიტეტის მეორე ბიურო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისათვის. სოფლის მეურნეობის ბიურო და მრეწველობის ბიურო იმუშავებენ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით. იმ რესპუბლიკებში, სადაც ახლა პრეზიდიუმი არ არის, მიზანშეწონილია შეიქმნას იგი.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ პრეზიდიუმმა მრეწველობის ბიუროს და სოფლის მეურნეობის ბიუროს მუშაობა არ შეუგუოს თავისი მუშაობის წესს. თუ ჩვენ შევქმნით ორ ბიუროს, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი კი დაუწყებს მეურვეობას ამ ბიუროებს, ჩაერევა მათი მუშაობის დეტალებში, დაუწყებს მათ მბრძანებლობას, ანგარიშს არ გაუწევს მათი საქმიანობის თავისებურებებს, ახალი სტრუქტურა კარგ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ასეთ შემთხვევაში ორივე ბიურო შეიბოჭება, მათს ინიციატივას გასაქანი არ მიეცემა. ამით საქმე დაზიანდება და რეორგანიზაცია სათანადო ეფექტს ვერ მოგვცემს. საჭიროა აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ ავტონომია ფართო უნდა იყოს როგორც ერთი, ისე მეორე ბიუროსათვის.

სახალხო მეურნეობის სახელმძღვანელოდ რუსეთის ფედერაციის მასშტაბით განზრახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ არსებული ბიუროს გარდა იყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო რუსეთის სფსრ სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობისათვის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისათვის.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მხედველობაში აქვს ამგვარადვე გარდაქმნას თავისი სტრუქტურა. ცენტრალური კომიტეტის სტრუქტურის შესახებ ანალოგიური წინადადებანი შემოიტანეს აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა.

ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრმა და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხანაგებმა დააყენეს საკითხი გამსხვილებული ეკონომიური რაიონების შექმნის შესახებ. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ნაცვლად ამჟამად არსებული 67 სახალხო მეურნეობის საბჭოსი, განზრახულია შეიქმნას 22-24 სახალხო მეურნეობის საბჭო, ხოლო უკრაინაში ნაცვლად 14-ისა შეიქმნას 7 სახალხო მეურნეობის საბჭო. ამ წინადადებებს შეიძლება მხარი დავუჭიროთ. იბადება კითხვა, უკეთ როგორ შევათანხმოთ გამსხვილებულ ეკონომიურ რაიონებში შემავალ პარტიის საოლქო კომიტეტთა მუშაობა სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობაში. იქნებ მიზანშეწონილი იყოს ამისათვის შეიქმნას რუსეთის სფს რესპუბლიკაში ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განყოფილებანი სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის დარგში და ამ განყოფილებათა ადგილსამყოფელი იყოს გამსხვილებულ ეკონომიურ რაიონებში; ხოლო უკრაინაში — ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განყოფილებანი სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობის დარგში.

მაგრამ ეს მხოლოდ სავარაუდოა. შესაძლებელია, რომ სინამდვილეში ჩვენ არც დაგვჭირდება ასეთ განყოფილებათა შექმნა. არ უნდა ავიჩქარდეთ ასეთ განყოფილებათა შექმნით. როცა შეიქმნება დიდი სახალხო მეურნეობის საბჭოები, რომლებიც გააერთიანებენ მთელი რიგი ოლქების საწარმოებს საქმიანობის კოორდინაციისათვის, შესაძლოა საჭირო გახდეს ასეთი განყოფილებანი. შეიძლება, უკეთესი იქნება მოვაწყოთ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის ბიუროს წარმომადგენელთა სისტემატური ჩასვლა ადგილებზე, როცა ეს საჭიროა საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრებანი კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში შესაქმნელი ორგანოების ჩამოყალიბების წესის, მათი ამოცანებისა და აპარატის შესახებ.

სკკპ წესდების შესაბამისად ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, ისევე როგორც ახლა, არჩეულ იქნება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. დარგობრივ ბიუროებს ქმნის პრეზიდიუმი და შეაქვს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დასამტკიცებლად.

საჭირო არ არის განვიხილოთ ყველა წინადადება თვითეულ რესპუბლიკაში ცალკე. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები და პლენუმის მუშაობის მონაწილე სხვა ამხანაგები ალბათ თავიანთ გამოსვლებში გამოთქვამენ წინადადებებს პარტიული ორგანოების ორგანიზაციული სტრუქტურის ღონისძიებათა შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება თვითეული რესპუბლიკის თავისებურებანი.

იმისათვის, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობას, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნია იყოს ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობისათვის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისათვის.

შუა აზიის რესპუბლიკების ხელმძღვანელ მუშაკებთან თათბირების მსვლელობაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას შუა აზიის ყველა რესპუბლიკის მრეწველობის ხელმძღვანელობის ერთიანი ორგანო — შუა აზიის სახალხო მეურნეობის საბჭო. განზრახულია ასეთივე პრინციპით შეიქმნას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად — შუა აზიის მებამბეობის სამმართველო და ირიგაციისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მთავარი სამმართველო, აგრეთვე შუა აზიის რესპუბლიკებში კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის ერთიანი ორგანო — შუააზიამშენი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აზრით, რასაც მხარს უჭერენ შუა აზიის რესპუბლიკების ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებიც, უნდა შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიურო, რომელიც იმუშავებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის უშუალო ხელმძღვანელობით. რა თქმა უნდა, ეს ბიურო არავითარ შემთხვევაში არ შეცვლის ან იკისრებს მოკავშირე რესპუბლიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტების ფუნქციებს. სავსებით ცხადია, რომ რესპუბლიკის მთელი ცხოვრების ხელმძღვანელობას კვლავ განახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. შუა აზიის ბიუროს მთავარი ამოცანაა დახმარება გაუწიოს შუა აზიის რესპუბლიკების პარტიულ ორგანოებს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში, მოახდინოს კოორდინაცია და შეათანხმოს ამ რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობა.

მხედველობაშია მიღებული, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიურო შეიქმნება ბიუროს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით; ამ ბიუროს შემადგენლობაში შევლენ უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, შუა აზიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, შუააზიამშენის უფროსი, შუა აზიის მებამბეობის სამმართველოსა და ირიგაციისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსები.

რა უპირატესობას მოგვცემს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის?

ჯერ ერთი, პარტიული ორგანოების აგება საწარმოო პრინციპის მიხედვით შესაძლებლობას მოგვცემს თავი მოვუყაროთ პარტიის, პარტიული ორგანიზაციების მთელ ძალებს წარმოების განვითარების მთავარი ამოცანების გადასაჭრელად, უფრო კონკრეტულად და გეგმაზომიერად ვუხელმძღვანელოთ მრეწველობასაც და სოფლის მეურნეობასაც.

მეორე, პარტიული ორგანოების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა საჭირო პირობებს შეუქმნის პარტიულ მუშაკებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკასა და ტექნიკას და საქმის ცოდნით გადაჭრან პრაქტიკული ამოცანები.

მესამე, პარტიული ორგანოების აგება საწარმოო პრინციპის მიხედვით შექმნის ხელსაყრელ პირობებს ჩვენი სახალხო მეურნეობის რეზერვებისა და შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებისათვის, გზას გაუკაფავს ახალს, მოწინავეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, შესაძლებლობას მოგვცემს დავაჩქაროთ მეცნიერების, ტექნიკის უახლეს მიღწევათა, მოწინავე გამოცდილების დანერგვა.

მეოთხე, პარტიული ორგანოების ახალი აგება შექმნის უკეთეს შესაძლებლობებს, რომ უფრო სწორად შევარჩიოთ ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე ისეთი მუშაკები, რომლებმაც კარგად იციან წარმოება და აქვთ გამოცდილება მეურნეობის შესაბამის დარგებში.

მეხუთე, შესაძლებლობა [illegible] ორგანოებს უკეთ მოაწყონ კონტროლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებაზე.

მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული ორგანოების, აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოების ყველაზე სრულყოფილი სტრუქტურა არ მოიტანს სასურველ შედეგებს, თუ ჩვენ წარმოების ხელმძღვანელებად არ დავნიშნავთ ენერგიულ, ნიჭიერ ორგანიზატორებს, რომლებმაც კარგად იციან სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მზად არიან რევოლუციური მგზნებარებით იბრძოლონ პარტიის საქმისათვის. ასეთი კადრები კი ჩვენ გვყავს.

მომავალი მუშაობა პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანოების კადრებით დაკომპლექტებისათვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს. ისინი ყურადღებით და გონივრულად უნდა მოეკიდონ მუშაკთა განაწილებასა და რაციონალურად გამოყენებას, არ დაუშვან შეცდომები ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში.

ნაკლოვანებანი პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთ უბანზე აიხსნება სწორედ იმით, რომ ჩვენ ზოგჯერ არ ვიცით კადრების სწორად შერჩევა და განაწილება.

სრულიად შეუწყნარებლად უნდა მივიჩნიოთ მანკიერი პრაქტიკა, როცა უვარგისი მუშაკები ხანგრძლივად რჩებიან ხელმძღვანელ პოსტებზე და მათ ათავისუფლებენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა საბოლოოდ ჩაშლიან საქმეს. მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში არიან ისეთი მუშაკები, რომლებმაც დაკარგეს ახლის გრძნობა, მაგრამ მიკუთვნებული აქვთ „შეუცვლელთა“ რანგი. ისინი მუშაობენ ცუდად და ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქმე შეიძლება უკეთ მოეწყოს, რომ მათ ადგილას შეიძლება დაწინაურდნენ სხვები, რომლებსაც უნარი შესწევთ უფრო წარმატებით უხელმძღვანელონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები მოითხოვენ, რომ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს სათავეში ედგნენ მუშაკები, რომლებსაც აქვთ სპეციალური განათლება და მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. საქმე ეხება იმას, რომ სწორად შევახამოთ მუშაობის მრავალი წლის გამოცდილების მქონე კადრები და ახალგაზრდა, ენერგიული ამხანაგები. ხელაღებით არ უნდა ვათავისუფლებდეთ ხელმძღვანელი თანამდებობებიდან ადამიანებს, რომლებსაც სპეციალური განათლება არა აქვთ. არის ბევრი შესანიშნავი პრაქტიკოსი და წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი, რომლებსაც ყოველი ღონისძიებით უნდა დავუჭიროთ მხარი, დავეხმაროთ სპეციალური ცოდნის შეძენაში.

ჩვენს ქვეყანაში წარმოებს კვალიფიციური კადრების მუდმივი გაცვლა ერებს შორის, და რაც უფრო ფართო იქნება კომუნისტური მშენებლობის მასშტაბები, მით უფრო მეტი იქნება ასეთი გაცვლა. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების გამოცდილება გვასწავლის, რომ კადრებით ძმური ურთიერთდახმარების გაუწევლად შეუძლებელია უზრუნველვყოთ საწარმოო ძალების რაციონალური განვითარება, სწორად შევაფასოთ სახელმწიფოს ინტერესები ცალკეული რესპუბლიკების ინტერესებთან. საჭიროა, რომ პარტიული კომიტეტები მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ თავიანთ მუშაობაში ამ დებულებებით.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის პარტიული ორგანოების გათვალისწინებული სტრუქტურა ხელს შეუწყობს პარტიას კიდევ უფრო წარმატებით შეასრულოს XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

ამხანაგებო! მე მოგახსენეთ სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაციული გარდაქმნის მთავარი მიმართულებანი. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ამ გარდაქმნას ორგანიზაციული ხასიათი აქვს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პარტიის ორგანიზატორულ მუშაობას გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებისათვის, ცხადია, რომ ამ საკითხს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი ლენინური პარტია მმართველი პარტიაა და იმაზე, თუ როგორ მოაწყობს იგი თავის საქმიანობას, სახალხო მეურნეობის მართვას, დამოკიდებულია კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელება. პარტიის პოლიტიკას საფუძვლად უდევს მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური პრინციპები. იგი ხელმძღვანელობს საზოგადოებას საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით. სწორედ ეს აძლევს შესაძლებლობას პარტიას დროზე შეამჩნიოს და განავითაროს ახალი, პროგრესული მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხარი დაუჭიროს მასების შემოქმედებითს ინიციატივას.

ის, რის განხორციელებაც ჩვენმა პარტიამ დასახა, ნაკარნახევია არა ამა თუ იმ პირთა სუბიექტური სურვილებით, არამედ პოლიტიკური და ეკონომიური მიზანშეწონილობით, იმის საჭიროებით, რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდეს პარტიის მიერ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები.

## II.

## ტექნიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია და ეკონომიური მშენებლობის მართვის სრულყოფა

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ახლა შევეხო ტექნიკური პოლიტიკის დაგეგმვის სრულყოფისა და სამეურნეო მართვის მეთოდების გაუმჯობესების ზოგიერთ პრინციპულ საკითხს, რომელთა გადაჭრაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჩვენი ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარება.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური დაჩქარების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გამოყენების პირობით.

ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტექნიკური პროგრესის დარგში უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი მუშაობაა გაწეული. როგორც ჩანს, არ არის საჭირო ვილაპარაკოთ ჩვენს მიღწევებზე. ეს მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია. ჯეროვნად ვაფასებთ რა წარმატებებს ტექნიკურ პროგრესში, ჩვენ მოვალენი ვართ პარტიის მთელი ყურადღება მივაქციოთ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უფრო სრულად გამოყენების საკითხებს.

### მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის საკითხები

ჩვენი მრეწველობა უაღრესად სრულყოფილ მანქანებთან და ხელსაწყოებთან ერთად ჯერ კიდევ ბევრს უშვებს მოძველებულ მოწყობილობასა და მასალებს.

ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების შემუშავება და განსაკუთრებით წარმოებაში დანერგვა ხშირად წლების განმავლობაში გრძელდება. ექსპერიმენტული და საცდელ-სამრეწველო ბაზების განვითარება ჩამორჩება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს.

რატომ ხდება ეს? მინდა ყურადღება მივაქციო მთავარ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან ზუსტი და სწორი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაფართოებულიყო მეცნიერულ-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები ეკონომიურ რაიონებში. ამან, უეჭველია, დადებითი როლი შეასრულა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. მაგრამ არის ამ პროცესის სხვა მხარეც: სახალხო მეურნეობის საბჭოებში წვრილი,

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენლების ურთობლიობას“ და მას უნდა ჰქონდეს „ყველაზე დიდი მონაცემები, რათა სწორად იმსჯელოს საქმეების შესახებ“.

სახალხო მეურნეობის მასშტაბების გაფართოება, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი პროგრესი მოითხოვს დაგეგმვის როლისა და მეცნიერული დონის კიდევ უფრო ამაღლებას. ჩვენს ქვეყანას ჰყავს მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ავამაღლოთ დაგეგმვის მეცნიერება და პრაქტიკა, წარმოებისადმი ხელმძღვანელობის მთელი მუშაობა ავაგოთ სოციალიზმის ეკონომიური კანონების საფუძველზე. ახლა დაგეგმვაში მთავარია ის, რომ ყველაზე რაციონალურად და ეფექტიანად გამოვიყენოთ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, ბუნებრივი სიმდიდრეები, განვავითაროთ და დავნერგოთ ახალი ტექნიკა, აღმოვფხვრათ ზედმეტი ხარჯები და დანაკარგები წარმოებაში. საზოგადოების ინტერესებისათვის ყველაზე დიდი საწარმოო შედეგების მიღწევა ყველაზე ნაკლები დანახარჯებით ჩვენი სამეურნეო მშენებლობის, სოციალისტური მეურნეობისა და დაგეგმვის ხელმძღვანელობის კანონია.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნასთან დაკავშირებით გარდაიქმნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა საგეგმო ორგანოების მუშაობა. მაგრამ ეს გარდაქმნა ბევრ რამეში ბოლომდე როდია მიყვანილი.

საგეგმო ორგანოების პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი პიროვნების კულტის პერიოდის შედეგები, როცა გეგმებს ხშირად ადგენდნენ ისე, რომ არ იყო საკმაო ეკონომიური დასაბუთება, და ეს გეგმები [illegible]

[illegible]

ლისწინებთ, რა სისწრაფით ვითარდება ქიმიის მეცნიერება და სინთეზური მასალების გამოყენების დარგი, ძნელია კიდევაც ჩამოვთვალოთ დარგები, სადაც სულ უფრო ფართოდ გამოვიყენებთ ქიმიური მრეწველობის პროდუქციას. მას, კერძოდ, შეუძლია ბევრ დარგში შეცვალოს მერქანი და თითქმის მთლიანად გამოიყენოს ხეტყისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობის ნარჩენები. ჩვენ უნდა დავიცვათ ტყეები, რადგან ტყე ხალხის სიმდიდრეა და ეს სიმდიდრე გონივრულად უნდა ვხარჯოთ.

საბჭოთა კავშირს აქვს ნედლეულის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი ახალ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებისათვის.

საგეგმო და სამეურნეო ორგანოები უფრო ღრმად რომ სწვდებოდნენ ეკონომიკას, მაშინ მათ უნდა განესაზღვრათ, როდის და რა რაოდენობით უნდა შეიცვალოს სინთეზური მასალებით შავი და ფერადი ლითონები და სხვა მასალები, და ყოველი ღონისძიებით ავითარებდნენ მათს წარმოებას. სამწუხაროდ, სამეურნეო და მგეგმავი ორგანოები საკმაოდ არ ითვალისწინებენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, არ იყენებენ ამ მიღწევებს იმ წარმოებათა და დარგების დაჩქარებული განვითარებისათვის, რომლებიც ეკონომიურად უფრო ხელსაყრელი და პერსპექტიულია.

რამდენი ქარხანა უნდა ავაშენოთ პოლიეთილენის წარმოებისათვის? მშენებლობის მოცულობა უნდა განვსაზღვროთ არა მოუფიქრებლად, არამედ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებისა და არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა უკვე გამოირკვა ახალი წარმოების განვითარების გეზი, საჭიროა ბევრი ღონისძიება, რათა განვთავისუფლდეთ ჩვეული წარმოდგენებისაგან. იყო დრო, როცა სახელმწიფოს ძლიერება განისაზღვრებოდა წარმოებული ლითონის რაოდენობით. თავის დროზე ეს კრიტერიუმი სწორი იყო. მაგრამ ახლა, როცა შეიქმნა სხვა მასალები, რომლებიც კონკურენციას უწევენ ლითონს, ეს კრიტერიუმი უკვე აღარ არის საკმათ. სწორედ ქიმია იძლევა უფრო იაფ, უფრო გამძლე და უფრო ხელმისაწვდომ მასალებს. ეს მასალები — პოლიეთილენი, პლასტიკური მინები, სინთეზური ფისები და ბოჭკოები, პლასტმასები — პოულობს ფართო გამოყენებას მრეწველობაშიც, მშენებლობაშიც, საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოებაშიც.

მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ 13 მილიონი ტონის გადაჭარბებით ვასრულებთ შვიდწლედის გეგმას ფოლადის დარგში, მაგრამ ვერ ვასრულებთ ქიმიური მრეწველობის განვითარების გეგმას.

ვინ უნდა ადევნოს თვალყური ამას? ამისათვის უწინარეს ყოვლისა შექმნილია სპეციალურად მომუშავე აპარატი — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სახელმწიფო ეკონომიური საბჭო, მაგრამ ისინი უყურებენ და ვერ ხედავენ.

ფოლადის წარმოება—ეს თითქოს ნავალი გზაა ღრმა კალაპოტით, იქ ბრმა ცხენიც კი არ გადაუხვევს, რადგანაც თვლები დაიმსხვრევა. და აი ზოგიერთმა მუშაკმა „ფოლადის თვალსაფარი“ გაიკეთა, უყურებენ და ისე მოქმედებენ, როგორც თავის დროზე ასწავლეს. გაჩნდა მასალა, რომელიც სჯობს ფოლადს და უფრო იაფია, ისინი კი მაინც გაჰყვირიან — ფოლადი! ფოლადი! ჩვენ ფოლადის გამოდნობით მხოლოდ გეგმა რომ შეგვესრულებინა, მაგრამ სამაგიეროდ გადაჭარბებით შეგვესრულებინა პოლიეთილენის გეგმა, უკეთესი იქნებოდა, გაცილებით უფრო მდიდარი ვიქნებოდით. მაგრამ ამის გაკეთება ძნელია, რადგანაც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში არიან ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან იმათ, ვისაც სურს გონივრულად შეცვალოს ფოლადის წარმოების დავალებანი სინთეზური მასალების სასარგებლოდ.

ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა აღკვეთონ მფლანგველობა. მფლანგველობა კი იღებს სულ სხვადასხვა ფორმას — ლითონისადმი, ელექტროენერგიისადმი უყაირათო დამოკიდებულება, ზედმეტი შრომის ხარჯვა. ზოგიერთ ქალაქში ჩვენში ძალიან ბევრი ქუჩის ფარანია ნათურების გირლანდებით. ეს ბატონკაცური ჩვეულებიდან მოდის. მემამულე თავის შესასვლელში არაერთ ფარანს ჰკიდებდა. თუ ერთ მემამულეს ორი ფარანი ჰქონდა, მეორე სამს ჰკიდებდა. აქ განათება თავის დანიშნულებას კი არ ასრულებდა, არამედ ერთგვარი სამკაული იყო. და აი, ზოგიერთ ჩვენს ქალაქში ლამპიონები აღმართულია სამკაულებად. ჩვენ განათება ბატონკაცობისათვის, ელექტროენერგიის ფლანგვისათვის როდი გვჭირდება. შუქი, ამხანაგებო, ეს არის მეშახტის შრომა, მენავთობის შრომა, გაზის მრეწველობის მუშაკის შრომა. იმ ადამიანებს, რომლებიც ჭაღებს ჰკიდებენ ქუჩებში, რომ ესმოდეთ, თუ რას ნიშნავს ეს, სხვანაირად მოეკიდებოდნენ ამ მორთულობანას. ამით ხომ სახალხო სიმდიდრე იფლანგება.

ხაზს ვუსვამ, ამხანაგებო: მოდით ვიყოთ გონიერი. მაშინაც კი, როცა სიმდიდრე უხვად გვექნება, გონივრულად უნდა გამოვიყენოთ იგი, რადგანაც ამ სიმდიდრეს მოხმარდა ადამიანთა შრომა, საზოგადოების ენერგია!

თქვენ იცით, როგორ უგუნურად იყენებენ ჩვენში ფერად ლითონებს სხვადასხვა სამკაულისათვის ობივატელური, მე ვიტყოდი, ვაჭრული გემოვნების საამებლად. გააკეთეს უამრავი მძიმე ჭაღები და გისოსები, რიკულები ხომალდებზე, მეტროს სადგურებში, ვოგზლებში. ამავე დროს, ყოველივე ეს რომ პლასტმასისაგან გაეკეთებინათ, რამდენჯერმე უფრო იაფი დაჯდებოდა, უფრო მოხერხებული და ლამაზი იქნებოდა. ჩვენ ოქროს ვიხდით, როცა სპილენძს ვყიდულობთ საზღვარგარეთ.

ნახეთ, რამდენი ძეგლი აღმართეს ჩვენში, ეს კი თითბერია, სპილენძია. ლენინს რომ შეეძლოს წამოდგომა და დაენახა, თუ რარიგად ვფლანგავთ ძვირფას მასალას ძეგლებისათვის, იტყოდა: ბევრს ლაპარაკობთ ლენინიზმის შესახებ, მაგრამ ჩვენს დიად საქმეს ძეგლები როდი განადიდებენ!

დიახ, ლენინის სიდიადე მონუმენტები კი არა, კომუნიზმის მშენებლობაა. კომუნიზმის მშენებლობა ყველაზე შესანიშნავი მონუმენტია ლენინისათვის!

ახლა რომ მოგვეწოდებინა, მე კი ვფიქრობ, რომ ეს გონივრულია, სპილენძი შევაგროვოთ, მოვხსნათ იქიდან, სადაც საჭირო არ არის, მივიღებდით ათასობით ტონა სპილენძს, და იგი უნდა გადაგვედნო მხოლოდ უფრო საჭირო ნივთებისათვის. ყოველ შემთხვევაში ეს რეზერვია, სპილენძის მარაგია და სავსებით რეალური.

შეადარეთ, მაგალითად, მეტროს სადგურები „კურსკისა“ ან „კომკავშირული“, სადაც მოპირკეთებაზე დიდძალი სპილენძი და სხვა ფერადი ლითონი დაიხარჯა, კალუგის რადიუსის ახალ სადგურებს. არქიტექტორებს, რომლებმაც სახელმწიფო პრემიები მიიღეს მეტროს პირველი სადგურების მშენებლობისათვის, მე მისაბაძ მაგალითად დავუსახავდი იმ არქიტექტორების შრომას, რომლებიც კალუგის რადიუსის სადგურებს აშენებდნენ. აქ არქიტექტორებმა უნარიანად გამოიყენეს ახალი მასალები და კარგად გააფორმეს სადგურები თანამედროვე სტილით.

საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, აღვკვეთოთ ქიმიური მრეწველობის განვითარებისადმი ზერელე და ბეცი მიდგომა, გამოვიჩინოთ სახელმწიფოებრივი გაქანება და ეკონომიკის ცოდნით შევაფასოთ პერსპექტიულობა და უდიდესი სარგებლობა, რასაც სახალხო მეურნეობა იღებს ქიმიური ინდუსტრიის განვითარებისაგან.

ახლა უკვე არ არის ის ვითარება, რაც იყო 1958 წელს მაისის პლენუმამდე. მაშინაც ქიმიისა და სინთეზური მასალების წარმოების მეცნიერება ჩვენში მაღალ დონეზე იდგა. მაგრამ ამ მასალების წარმოებას ვეწეოდით მცირე მასშტაბებით, არ იყო დამუშავებული ტექნოლოგია მსხვილი სამრეწველო წარმოებისათვის. ახლა ჩვენ გვაქვს დიდძალი საბოლოოდ დამუშავებული ახალი ტექნოლოგიური პროცესები და ახალი ქიმიური პროდუქტები, გაიზარდა ქიმიური მანქანათმშენებლობის შესაძლებლობანი.

საჭიროა გულდასმით გავარკვიოთ, რა მდგომარეობაა ქიმიურ მრეწველობაში, როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. საგეგმო ორგანოებმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა შეიმუშაონ ქიმიური ინდუსტრიის, განსაკუთრებით სინთეზური მასალების წარმოების განვითარების დაჩქარების კონკრეტული ღონისძიებანი. ეს საკითხი ღირსია იმისა, რომ იგი კვლავ გაზრდილ შესაძლებლობათა გათვალისწინებით განვიხილოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე.

საგეგმო ორგანოები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ მეურნეობის კომპლექსური განვითარების საჭიროებას, არ იჩენენ ინიციატივას ყველაზე ეკონომიურ გადაწყვეტათა შემუშავებაში, ხშირად სწორად არ განსაზღვრავენ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის რიგითობას.

განა სწორად მიუდგნენ საგეგმო ორგანოები და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო შუა აზიის რესპუბლიკების წინადადებებს იქ დიდი ჰიდროსადგურებისა და მძლავრი საირიგაციო სისტემების აგების შესახებ? მათი ინიციატივით როდი დაიწყო, მაგალითად, ნურეკისა და ტოკტოგულის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო შუა აზიის, არამედ აგრეთვე მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

ამავე დროს საგეგმო ორგანოები მოვალენი იყვნენ სცოდნოდათ, რომ შუა აზიის ბევრ რაიონს უმდიდრესი შესაძლებლობები მოეპოვება მებამბეობის შემდგომი განვითარებისათვის, მებაღეობისა და მევენახეობის გაფართოებისათვის, მაგრამ ამ შესაძლებლობებს ვერ იყენებენ, რადგან არ არის წყალი. როცა ჰიდროენერგონაგებობებს ავაშენებთ, ჩვენ მივცემთ წყალს ველიან რაიონებს და სიცოცხლეს შევმატებთ მათ. ჰავის პირობები შუა აზიაში საუცხოოა, შენება იქ ეკონომიურად მიზანშეწონილია, კაპიტალური დაბანდებანი ძალიან მალე ანაზღაურდება.

გარდა ამისა, შუა აზია მდიდარია მინერალური რესურსებით. იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე იქ შეიძლება განვითარდეს მსხვილი მრეწველობა. საგეგმო ორგანოები მოვალენი არიან ყველაფერი გაითვალისწინონ, განსაზღვრონ, სად უნდა აშენდეს პირველ რიგში დიდი ჰიდროენერგონაგებობანი — შუა აზიაში თუ, მაგალითად, ციმბირში.

დიდი დავა იყო იმის შესახებ, საჭიროა თუ არა კიევის ჰიდროელექტროსადგურის აშენება დნეპრზე. ახლა კი, როგორც იცით, იგი უკვე შენდება. შენდება დნეპროძერჟინსკის ჰიდროელექტროსადგურიც, რიგშია კანევის სადგური. მაგრამ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში თავის დროზე ხომ მიაჩნდათ, რომ საჭირო არ იყო ამ სადგურების აშენება. რატომ? იღებდნენ, მაგალითად, კიევის სადგურის კილოვატსაათის თვითღირებულებას და უდარებდნენ ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის თვითღირებულებას. რასაკვირველია, ასეთი შედარება ხელსაყრელი არ იყო დნეპრის სადგურისათვის. მაგრამ განა შეიძლება ასე გამარტივებულად მივუდგეთ სერიოზულ საქმეს? განა ხელსაყრელი იქნებოდა აგვეშენებინა უკრაინაში სადგურები და გაგვევითარებინა მრეწველობა დონეცის ქვანახშირის ბაზაზე? არავითარ შემთხვევაში. დონეცკის ქვანახშირი ძვირია, რადგანაც დიდი სიღრმიდან, მცირე სიმძლავრის ფენებიდან ამოაქვთ. დონეცის ქვანახშირის ბაზაზე მომუშავე ელექტროსადგურების ელექტროენერგია კონკურენციას ვერ გაუწევს დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის ენერგიას. ამიტომ არ შეიძლება ერთად დავაყენოთ ბეღურა და აქლემი და ეს ორ სულად მივიჩნიოთ.

ზოგი ვინმე კი ჯერ კიდევ სწორედ ასეთი „მეთოდით“ ანგარიშობს. როცა ჩვენ ჩავერიეთ საქმეში და მტკიცედ მოვითხოვეთ დნეპრის ჰიდროსადგურების კასკადის მშენებლობა, გამოჩნდნენ „მგეგმავები“, რომლებიც დაახლოებით ასე მსჯელობდნენ: „ხრუშჩოვი კარგად იცნობს უკრაინას, მასთან დავა ძნელია, მაგრამ ფული მაინც არ მიდის იქ, სადაც უწინარეს ყოვლისა უნდა წასულიყო“. რას იტყვი აქ!

გარდა ამისა, დნეპრი შესაბამისი რეკონსტრუქციის შემდეგ შეიძლება გახდეს ღრმაწყლიანი მაგისტრალი, რომელიც შავ ზღვას დააკავშირებს ბალტიის ზღვასთან. ეს გზა გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე ვოლგა-მარინკის სისტემა. გარდა ამისა დნეპრ-ბუგის არხი უფრო დასავლეთითაა, აქ სითბოა და ეს არხი წელიწადში უფრო მეტ ხანს შეიძლება გამოვიყენოთ. არხით დიდძალი ტვირთი წავა გაცილებით მოკლე გზით, ვიდრე ხმელთაშუა ზღვისა და ჰიბრალტარის გავლით, ტვირთის გადაზიდვა გაცილებით უფრო იაფი დაჯდება. მხოლოდ ზამთარში, როცა მდინარეები გაიყინება, დაგვჭირდება დარდანელი და ჰიბრალტარი, მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში კი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვაში და უკან ტვირთი გაივლის დნეპრსა და ნემანს. ამას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

სწორად რომ გეგმონ, უნდა წინ იყურებოდნენ. საგეგმო ორგანოები ყოველთვის ასე როდი იქცევიან.

ისეც ხდება, რომ ამა თუ იმ წინადადებათა შემუშავებისას სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოში მომუშავე ამხანაგები მოქმედებენ პრინციპით „გაკეთდება. ფულს გამოვნახავთ!“ ხოლო როცა სახსრებს მართლა მოითხოვენ, ფული აღარ აღმოჩნდება. მაშინ იწყებენ იმ სახსრების გამოყენებას, რომლებიც გამოყოფილი იყო სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობისათვის. ამით აიხსნება ბევრი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. იმათ, ვისაც დავალებული აქვს განაგოს ფულადი და მატერიალური რესურსები, უნდა ჰქონდეთ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, გამბედაობა იმისათვის, რომ კვერი კი არ დაუკრან ყველა შემთხვევაში, არამედ მტკიცედ იხელმძღვანელონ სახელმწიფოებრივი და პარტიული ინტერესებით.

ავიღოთ ასეთი მაგალითი. ძალიან ბევრი ავტომანქანა მეურნეობებში სადგარებზე დგას, უსალტეებოდ. იქმნებოდა ბევრი კომისია, რომლებსაც ევალებოდათ გადაეჭრათ ეგრეთწოდებული „სალტის პრობლემა“. საქმე კი წინ არ წასულა, რადგანაც ეტყობა, ეს კომისიებიც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ტყვედ ვარდებოდნენ. გათვალისწინებული იყო ამა და ამ წლისათვის ამა და ამ რაოდენობით გადიდებულიყო სალტის გამოშვება. ამისაგან დამოუკიდებლად კი ამზადებდნენ და იღებდნენ გადაწყვეტილებებს ავტომობილების წარმოების გადიდების შესახებ. და ხდებოდა ის, რომ სალტეების მთელი მატება ხმარდებოდა ახალი ავტომობილების კომპლექტაციას, ბევრი შოფერი კი ნაცვლად იმისა, რომ საჭეს უჯდეს, სადგარებზე შემდგარი ავტომანქანების გარშემო დადის.

რა არის აქ გონივრული! ამბობენ, სახსრები არ გვაქვსო. თუ ასეა, შეამცირეთ სახსრები იმ ლითონისათვის, რომელიც ავტომობილების წარმოებას ხმარდება, გამოუშვით ნაკლები ავტომანქანები, მაგრამ მოგვეცით მეტი სახსრები სალტის წარმოების გასაფართოებლად, და მაშინ იმავე რაოდენობის ავტომანქანებით გადავიტანთ მეტ ტვირთს.

არა, ამბობენ, ეს შეუძლებელიაო. რატომ? იმიტომ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ყველა თავის სტრიქონს უვლის. ერთი „ზის“ ავტომანქანებზე და სალტე მას არ აღელვებს. მეორე ზრუნავს სალტისათვის, მაგრამ სხვა საქმეები არ აინტერესებს. და ნაკლებ ფიქრობენ იმაზე, რომ ყველაფერი დაკავშირებით კომპლექსად, დაასაბუთონ, რათა, როგორც იტყვიან, მიღწეულ იქნეს სრული ჰარმონია ეკონომიკის განვითარებაში, რათა ყველაფერი ვითარდებოდეს საჭირო პროპორციებით. ეს ჩვენი საგეგმო ორგანოების სერიოზული ნაკლია.

გეგმებში ძრავალი ცვლილებისა და შესწორების შეტანის პრაქტიკა მოწმობს, რომ არის შემთხვევები, რომ ეს გეგმები საკმაოდ არ არის დასაბუთებული და გააზრებული. ამისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საგეგმო ორგანოებს. ასეთი პრაქტიკა ამცირებს გეგმის მნიშვნელობას როგორც კანონისა საწარმოსათვის, წარმოშობს გულგრილ დამოკიდებულებას ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშებისა და გეგმის დასაბუთებისადმი, ასუსტებს სახელმწიფო დისციპლინას.

წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმები ხშირად სუსტად არის შეთანხმებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმებთან. მთელ რიგ შემთხვევებში, რათა როგორმე გაართვან საქმეს თავი, ხელოვნურად ამცირებენ ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმებს, შეაქვთ რესურსებში, მაგალითად, პირველი კვარტალისათვის მასალები და მოწყობილობა საწარმოებიდან, რომლებიც მესამე ან მეოთხე კვარტალში ამუშავდება. ფართოდ გავრცელებულია საშუალო სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გეგმების შედგენის პრაქტიკა, რაც არ იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნას ამა თუ იმ საწარმოს ნამდვილი შესაძლებლობანი.

რით აიხსნება ასეთი სერიოზული ნაკლოვანებები საგეგმო ორგანოების მუშაობაში?

როგორც ჩანს, იმით, რომ საგეგმო ორგანოების ბევრი მუშაკი ცუდად არის დაკავშირებული ადგილებთან, არ იცნობს საქმის მდგომარეობას სახალხო მეურნეობის დარგებში, ვერ ხედავს და ვერ ითვალისწინებს იმ ახალს, რაც პრაქტიკას შემოაქვს. საჭიროა ძირეულად გარდავქმნათ საგეგმო ორგანოების მუშაობა, განვამტკიცოთ ისინი კვალიფიციური კადრებით, ეკონომიკის მცოდნე სპეციალისტებით, რომლებსაც შესწევთ უნარი დაინახონ და მხარი დაუჭირონ ახალს, აქვთ მრეწველობასა და მშენებლობაში მუშაობის საჭირო გამოცდილება.

მაგრამ რას ნიშნავს გქონდეს მრეწველობაში მუშაობის გამოცდილება? საკმარისია თუ არა ამისათვის, რომ კაცი რაღაც გარკვეული წლების მანძილზე მუშაობდეს საწარმოში. არა, ჩვენ, კომუნისტები, გამოცდილების ცნებას უფრო ღრმა აზრს ვაძლევთ. გამოცდილი ადამიანი უწინარეს ყოვლისა არის ის, ვინც კარგად იცის თავისი საქმე, ნოვატორია, იბრძვის მოწინავისათვის, პროგრესულისათვის, თვალყურს ადევნებს ტექნიკის განვითარებას, მეცნიერულ მიღწევებს, შესწევს უნარი სწრაფად და აქტიურად შეუდგეს შექმნილი ტექნოლოგიური სქემების, ხერხების გარდაქმნას.

ყველაზე ცუდია, როცა ეგრეთწოდებული „გამოცდილი ადამიანები“, განსაკუთრებით, თუ ისინი მგეგმავ ორგანოებში მუშაობენ, გახდნენ არსებითად ბიუროკრატები. ძველმა, შეჩვეულმა მათ აზროვნებაში დატოვა კვალი და არ შეუძლიათ თავი დააღწიონ ამას. ასეთ მუშაკს არ სურს თავი შეიწუხოს. მას ადგილი უზრუნველყოფილი აქვს, ხელფასს იღებს, და აი იგი ადგენს გეგმებს დაახლოებით ასეთი პრინციპით: წლითიწლობით ადიდებს რამდენიმე პროცენტით დავალებებს შესაბამის დარგში და გულდამშვიდებულია. პერსპექტიულია თუ არა წარმოების დარგი, რომლის წარმომადგენელიც იგია, თუ ცხოვრებამ, მეცნიერებამ წარმოშვეს ახალი აღმოჩენები, გაჩნდა მასალები, რომლებიც ხარისხით, ეკონომიური მაჩვენებლებით წინანდელზე ხელსაყრელია, ამას ასეთი ადამიანი არ დაგიდევს.

სოციალისტური სისტემა უდიდეს უპირატესობებს იძლევა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. ჩვენი წყობილების პირობებში წარმოების სფეროშიც, საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროშიც უსაზღვრო ასპარეზია გადაშლილი საწარმოო ძალების ზრდისათვის, ინიციატივის განვითარებისათვის.

კაპიტალიზმი თავის წარმოებას ავითარებს კონკურენციის მკაცრი კანონების მიხედვით, კაპიტალისტი გაკოტრდება, დაიღუპება, თუ ამ კონკურენტულ ბრძოლაში პირველი არ დანერგავს ახალს, არ შეცვლის, მაგალითად, ფერად ლითონს სინთეზური მასალებით, არ იანგარიშებს, რა უფრო იაფი და ხელსაყრელია. ხატოვნად რომ ვთქვათ, თუ იგი ჩაჯდება ბრინჯაოსა და ტყვიაში, იგი ჩაიძირება ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, მაშინ როცა ნაპირს გავა მისი კონკურენტი, თუ იგი ისარგებლებს თანამედროვე, სინთეზური მსუბუქი მასალებით. ბრინჯაო, ტყვია და სინთეტიკა — ამ შემთხვევაში კერძო მაგალითებია. საქმე ეხება, როგორც თქვენ ხვდებით, საკითხთა უფრო ფართო წრეს.

შეიძლება თქვან: აი თურმე რა ყოფილა, ჩვენ, როგორც ჩანს, სოციალისტური მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარებისათვის თურმე გვაკლია კონკურენტული ბრძოლის პირობები. მაგრამ ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ბიუროკრატებს, რომლებზეც ახლა ლაპარაკი გვქონდა.

რა უნდა ვქნათ იმისათვის, რომ წარმოების დაგეგმვის, მართვის სფეროში ახალს, პროგრესულს აქტიურად და ყოველი ღონისძიებით უჭერდნენ მხარს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებაში სწრაფად და ეკონომიურად მიზანშეწონილად იყენებდნენ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს? ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მართვის მთელ აპარატს მუდმივ კონტროლს უწევდნენ მასები, რომ თვით მასები იღებდნენ მონაწილეობას ახლის რეალიზაციაში, იბრძოდნენ მისი განხორციელებისათვის.

ცხოვრება ერთ ადგილას როდი დგას. თვითეულმა ადამიანმა კარგად იცის ეს საკუთარი გამოცდილებით. ცხოვრება ერთ ადგილას არ დგას არც მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის დარგში. აი ამიტომ, მე ვიტყოდი, რომ ჩვენ უაღრესი სიზუსტით უნდა ვამოწმებდეთ, კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებდეთ ყველაფერს, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. გზა უნდა გავუკვალოთ ახალ, საღ ყლორტებს, რათა ისინი უფრო სწრაფად აღმოცენდნენ ჩვენს კომუნისტურ ყანაში, გაიზარდონ და გამაგრდნენ. ამ ამოცანებს უნდა მოხმარდეს მთელი ჩვენი საქმიანობა. უნდა ავამოქმედოთ ყველა ჩვენი ბერკეტი, მათ შორის ისეთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტებიც, როგორიც არის ყოველი ადამიანის მატერიალური და მორალური დაინტერესება საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებით, როგორიც არის პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლი ფართო მასების მონაწილეობით, კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ამასთან დაკავშირებით სერიოზულად უნდა გავსინჯოთ როგორი კადრებით აკომპლექტებენ ჩვენს უმნიშვნელოვანეს მგეგმავ ორგანოებს. ხშირად ამ ორგანოებში სამუშაოდ ადამიანები პირდაპირ სტუდენტის სკამიდან — უნივერსიტეტიდან და ინსტიტუტიდან მოდიან. ბევრ მათგანს არა აქვს საწარმოო გამოცდილება, არ იცის, თუ რა არის მეურნეობის გაძღოლის, შრომის ორგანიზაციის აღრიცხვის სისტემის საფუძველი. ამ ადამიანებს მოტორის ხმაური არ გაუგონიათ, და უკვე წარ-

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

[illegible]

[illegible] შაობის ხარისხის მაჩვენებლის, საკითხი. ზოგიერთი ეკონომისტი არ ითვალისწინებს, რომ მოგებას მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან შეფარდებით ორი მხარე აქვს. თუ ავიღებთ ჩვენს მეურნეობის სოციალისტურ სისტემას მთლიანად, მოგებას მისთვის, როგორც ეკონომიურ კატეგორიას, ის სოციალური აზრი არა აქვს, რომელიც მას ახასიათებს კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. კაპიტალისტურ წარმოებაში მოგება წარმოების მიზანი, მისი განვითარების ძირითადი სტიმულია. მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში მთავარ მიზანს საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენს. ჩვენი მრეწველობა პროდუქციას მოგების მისაღებად კი არ უშვებს, არამედ იმიტომ, რომ პროდუქცია საჭიროა მთელი საზოგადოებისათვის.

მაგრამ სხვა საქმეა ცალკეული საწარმო. ამ შემთხვევაში მოგების საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მისი საქმიანობის ეფექტიანობის ეკონომიურ მაჩვენებელს. როგორ მუშაობს საწარმო — საზარალოა თუ მოგებას იძლევა, ფლანგავს საზოგადოებრივ საშუალებებს თუ ამრავლებს მათ — ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგების აღურიცხველად შეუძლებელია გამოვარკვიოთ, რა დონეზე დგას საწარმოს მეურნეობის გაძღოლა და როგორი წვლილი შეაქვს მას საერთო-სახალხო ფონდში.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის დახასიათებისას არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ მოგების ცნება მთელ სახალხო მეურნეობასთან შეფარდებით და ცალკეულ საწარმოსთან შეფარდებით.

უკანასკნელ ხანს „პრავდაში", „იზვესტიაში", „ეკონომიჩესკაია გაზეტაში" სერიოზული დისკუსია გაიშალა ეკონომიურ საკითხთა ფართო წრის შესახებ. ამ დისკუსიაში მონაწილეობდა მრეწველობის და მშენებლობის ბევრი სპეციალისტი, სამეურნეო მუშაკი და მეცნიერი ეკონომისტი. დისკუსიის მსვლელობაში და წერილებში, რომლებიც უშუალოდ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო, შემოტანილია ბევრი დიდმნიშვნელოვანი წინადადება. უნდა დავავალოთ საგეგმო ორგანოებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს გულდასმით შეისწავლონ ეს წინადადებანი, ყოველივე საფუძვლიანი, გონივრული გამოიყენონ დაგეგმვის გასაუმჯობესებლად. ამ წინადადებათა ანალიზის საფუძველზე უნდა შევიმუშაოთ ეკონომიური ხასიათის რეკომენდაციები წარმოების დაგეგმვის გაუმჯობესებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა საგეგმო ორგანოს მუშაობის გაუმჯობესებას, კვალიფიციური კადრებით მათს განმტკიცებას, მათი პასუხისმგებლობის გადიდებას მინდობილი საქმისათვის. საგეგმო ორგანიზაციები უნდა იდგნენ სახელმწიფოს ინტერესების საგუშაგოზე, თავიანთ მუშაობაში არ აჰყვნენ რაიმე უწყებრივ და კუთხურ გავლენას.

ამხანაგებო! ჩვენი დაგეგმვის მთელ სისტემაში რომ სათანადო წესრიგი დავამყაროთ, ამისათვის საჭიროა ზუსტად განვსაზღვროთ თვითეული მგეგმავი ორგანოს ამოცანები, თავიდან ავიცილოთ პარალელიზმი, ზუსტად განვსაზღვროთ სახელმწიფო მგეგმავი ორგანიზაციების ფუნქციები ცენტრში და ადგილებზე.

რა არსებითს ნაკლოვანებებს შეიცავს დაგეგმვის ახლანდელი სისტემა?

იყო დრო, როცა ჩვენი ქვეყნის მთელი მრეწველობა სამ ნაწილად იყოფოდა: საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და ადგილობრივი. მაშინ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გეგმავდა საკავშირო მრეწველობის განვითარებას და რამდენადმე საკავშირო-რესპუბლიკურს. ადგილობრივ მრეწველობას გეგმავდნენ რესპუბლიკები და ადგილობრივი საბჭოები. ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკებს მიენიჭათ მთელი უფლებები სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში. დაგეგმვის საკითხებიც რესპუბლიკებს გადაეცათ. ამრიგად, ახლა რესპუბლიკურ ორგანოებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისათვის.

ეს ღონისძიება კი განვახორციელეთ, მაგრამ საკავშირო და რესპუბლიკური მგეგმავი ორგანოების მუშაობა ფაქტიურად არ გარდაგვიქმნია. ამიტომ გვაქვს დუბლირება, პარალელიზმი. ერთსა და იმავე მუშაობას ხშირად აწარმოებენ ცენტრშიც და ადგილებზეც.

ლოგიკურად რომ დავაგვირგვინოთ რესპუბლიკების პასუხისმგებლობა როგორც სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის, ისე მისი დაგეგმვისათვის, საჭიროა გეგმების შედგენა და მათი რეალიზაცია მთლიანად დავაკისროთ რესპუბლიკებს, მათს სახელმწიფო საგეგმო კომისიებსა და სახალხო მეურნეობების საბჭოებს. ადგილობრივმა მუშაკებმა უკეთ იციან მეურნეობის შესაძლებლობანი, რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსები, მუშახელის რეზერვები და ასე შემდეგ.

ცენტრალური საგეგმო ორგანო უნდა იყოს მეცნიერული დაგეგმვის მაღალკვალიფიციური ორგანო პატარა აპარატით. მისი ფუნქციები ის არის, რომ შეიმუშაოს პერსპექტიული გეგმები, დასახოს სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზები პარტიის პროგრამის საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მთავარი ამოცანები.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის პერსპექტივების განსაზღვრისას სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის შესაძლებლობანი და რეზერვები, ნედლეულის რესურსები, მისი წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო სახალხო საქმეში.

მოკავშირე რესპუბლიკები, საერთო საკავშირო პროგნოზებისა და დავალებების საფუძველზე ამუშავებენ თავიანთი სახალხო მეურნეობის განვითარების კონკრეტულ გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებენ რესურსებისა და შესაძლებლობების ყველაზე სრულად გამოყენებას რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განუხრელი ზრდის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს რესპუბლიკების მიერ წარმოდგენილი გეგმები და, ასე ვთქვათ, შეაკავშიროს ისინი, შეადგინოს საერთო საკავშირო გეგმა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის სახალხო სამეურნეო გეგმები ითვალისწინებდეს ეკონომიკის პროპორციულ განვითარებას. შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც წამოყენებულია პარტიის პროგრამაში, პარტიის ყრილობათა გადაწყვეტილებებში, პარტიისა და მთავრობის დირექტივებში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ.

დაგეგმვის ასეთი ორგანიზაცია ნიშნავს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ცენტრალიზებული საფუძვლების შემდგომ განვითარებას, ამასთან მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას.

მე როდი წამომცდა, ამხანაგებო, როცა აღვნიშნე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ დაგეგმვაზე უნდა მუშაობდეს მეთქი. უკვე მომწიფდა აუცილებლობა, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს საკავშირო საგეგმო ორგანოების ფუნქციები და ამოცანები.

ამჟამად სახელმწიფო ეკონომიური საბჭო მუშაობს პერსპექტიული დაგეგმვის საკითხებზე, ხოლო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განაგებს გეგმების რეალიზაციას წლების მიხედვით. ამ ორგანოთა ამოცანები ხშირად ერთმანეთს ეჯახება. ხდება ხოლმე, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული საკითხები, რომელთა დამუშავება სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს უნდა დაევალოს, ევალება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და პირიქით. ამრიგად ირღვევა ის მთავარი პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ორი დიდმნიშვნელოვანი ორგანოს შექმნას.

უფრო გარკვევით რომ მოვხაზოთ ამ ორგანოების მოვალეობათა წრე, საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ ეს მოვალეობანი შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ამჟამად დამკვიდრებულ სტრუქტურას. მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ეწეოდეს სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ დაგეგმვას, ესე იგი ასრულებდეს იმ ფუნქციებს, რომლებიც ამჟამად სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს აკისრია. წლიური გეგმების რეალიზაციის ფუნქციები კი, რაზეც ამჟამად სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მუშაობს, უნდა დაევალოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს (სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს).

სავსებით ბუნებრივია, რომ სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს დაეკისრება საგანკარგულებო ფუნქციები, რომ იგი ოპერატიულად წყვეტდეს სახალხო სამეურნეო გეგმის შესრულების პროცესში წამოჭრილ საკითხებს. სამეურნეო მშენებლობის საკითხთა მიმდინარე საქმეები, რომლებსაც ამჟამად წყვეტს მინისტრთა საბჭოს კომისია, საჭიროა გადავცეთ სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს, ამასთან დაეკისროს მას ზოგიერთი საგანკარგულებო ფუნქცია და მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც სცილდება დამტკიცებული გეგმისა და ბიუჯეტის ფარგლებს, დაისვას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადასაჭრელად.

რას ნიშნავს მიმდინარე საკითხები სამეურნეო მშენებლობაში? ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც ცხოვრების პროცესში წარმოიშობა და მოითხოვენ, რომ ერთი დარგიდან რაღაც გადაეცეს მეორეს. ვინ ხელმძღვანელობს ამას? ის ორგანო, რომელიც გეგმების რეალიზაციას განაგებს. ამჟამად ეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტია, მომავალში კი სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭო უხელმძღვანელებს. განა იგი უნდა დაელოდოს, როდის გადაიჭრება ეს საკითხები მიმდინარე საქმეთა კომისიაში? ამ კომისიას, ხომ არ შეუძლია გადაჭრას ისინი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ან სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოსთან შეუთანხმებლად. სწორედ აქ იქმნება ზედმეტი ბარიერი, სხდომაზე იკრიბება ათობით ადამიანი ნაცვლად იმისა, რომ იმუშაონ კონკრეტულ საქმეებზე. ვფიქრობ, რომ უნარიანი ორგანიზაციის მეტი წილი საკითხები სხდომების გაუმართავად გადაიჭრება სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოში.

**ხმები ადგილიდან:** სწორია.

ამრიგად შეიქმნება სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის მწყობრი სისტემა მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით.

## საწარმოთა მართვის დემოკრატიული პრინციპების განვითარება. ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის

ამხანაგებო! კომუნიზმის აშენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ და სწრაფ ზრდას. პარტიის პროგრამაში დასმულია ძირითადი ამოცანა-შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში პირველი ათი წლის განმავლობაში ერთიორად და უფრო მეტად, ოცი წლის განმავლობაში კი — ოთხჯერ-ოთხნახევარჯერ.

შვიდწლედის ოთხ წელიწადში ჩვენ გარკვეული წარმატებანი მოვიპოვეთ ამ მთავარი მიმართულებით. მრეწველობის პროდუქციის მთელი მატების ორი მესამედი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. მაგრამ გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ მიღწეული შედეგები. შვიდწლიანი გეგმით დადგენილი შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში არ სრულდება.

შრომის ნაყოფიერებაზე ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ. მაგრამ მე ვიტყოდი, ყოველთვის როდი ვაღწევთ იმას, რომ პირდაპირ თვითეულ მშრომელს კარგად ესმოდეს რა არის შრომის ნაყოფიერება მისთვის და მთელი საზოგადოებისათვის. კეთილდღეობის გაუმჯობესებას ვერ მივაღწევთ, თუ არ გაიზრდება მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება, თუ იგი, ასე ვთქვათ „გაიყინება". ამ პირობებში დოვლათის მოცულობა, რომელიც ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება, არ გაიზრდება. მაშასადამე, ვერ ამაღლდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. მომუშავე ადამიანმა რომ ერთ დონეზე გააჩეროს შრომის ნაყოფიერება, მაშინ, პირიქით, ცხოვრების დონე შეიძლება კიდევაც შემცირდეს, რადგან საზოგადოება ხომ იზრდება, მჭამელნი, მომხმარებელნი მეტია, ხოლო მატერიალური ფასეულობანი არ გაიზრდება.

საჭიროა ყველას ესმოდეს, რომ მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ პროგრესიულ ზრდას მოჰყვება ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ყოვლად შეუწყნარებელია ის, რომ ბევრ საწარმოში, ზოგიერთ სახალხო მეურნეობის საბჭოში, ხოლო შარშან ცალკეულ რესპუბლიკებშიც მთლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდა საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს. ვფიქრობ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის სწორი თანაფარდობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დისპროპორციები სახალხო მეურნეობაში.

გვაქვს თუ არა იმის შესაძლებლობანი, რომ მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები? უთუოდ გვაქვს. სამრეწველო საწარმონი და მშენებლობანი ყოველწლიურად სულ უკეთ აღიჭურვებიან ახალი მოწყობილობით. იზრდება შრომის ენერგოაღჭურვილობა. მაღლდება მუშათა კვალიფიკაცია და კულტურული დონე. მაშ რა გვაკლია? გვაკლია მხოლოდ ის, რომ ყოველდღიურ ყურადღებას არ ვიჩენთ ამ საქმისადმი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ ხანს ბევრი პარტიული ორგანიზაცია შეურიგდა დიდ ნაკლოვანებებს შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, საწარმოთა მართვაში.

შრომის ნაყოფიერების გადიდება დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე. შრომის ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ ნორმირებას. აშკარაა, რომ ჯეროვნად არ აფასებენ მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანს. ხოლო შრომის ნორმირება ხომ დიდი პოლიტიკური საკითხია, რომელიც მილიონობით ადამიანის ინტერესებს შეეხება.

გამომუშავების ნორმები უნდა წესდებოდეს საქმის ღრმა ცოდნით, რათა ეს ნორმები უზრუნველყოფდეს შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის საჭირო დონეს. საწარმოო ნორმების დადგენაში ფართოდ უნდა ვაბამდეთ თვით მუშებს, წარმოების მოწინავეებს, საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ნორმების გადასინჯვასთან ერთად აუცილებლად ხორციელდებოდეს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მინდა რამდენადმე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკო საწარმოთა და მშენებლობათა მართვის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარების საკითხზე. ჩვენს პარტიულ პროგრამაში მოცემულია გენერალური მიმართულება — **ავამაღლოთ მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივების როლი საწარმოთა საქმიანობის საკითხების გადაჭრაში.**

მრეწველობის მართვის გარდაქმნამ შესაძლებელი გახადა, რომ მშრომელებმა უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ წარმოების ხელმძღვანელობაში. შვიდწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებისას უფრო ფართოდ, ვიდრე ოდესმე წინათ, მონაწილეობდნენ მუშები და სპეციალისტები, საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები. ჩვენთან შეიქმნა და მოქმედებს საწარმოო თათბირების სისტემა, სხვადასხვა კომისიები, რომელთა საშუალებით მუშები და სპეციალისტები მონაწილეობენ წარმოების მართვაში.

მაგრამ ახლა ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ და დადგა დრო, როცა უნდა გავაფართოოთ და გავაღრმაოთ საწარმოთა მართვის დემოკრატიული პრინციპები. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა, გორკის საავტომობილო ქარხანა, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი და სხვები, რომლებშიც ათეულ ათასობით მუშა შრომობს. რა თქმა უნდა, ასეთი საწარმოს დირექტორი, რა განათლებული და გამოცდილი ადამიანიც უნდა იყოს, ვერ გასწვდება მთელ საწარმოო-ტექნიკურ და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებს, რომლებიც ყოველდღიურად წამოიჭრება ასეთ დიდ კოლექტივებში.

ამხანაგებო, მინდა გადავუხვიო და მოვიყვანო ზოგიერთი მაგალითი საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების დროინდელი მეურნეობის ხელმძღვანელობის გამოცდილებიდან. ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობა დონბასში დავიწყე, მაღაროში, იქ, სადაც რევოლუციამდე მუშად ვმუშაობდი. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, როცა კვლავ ჩემს მაღაროს დავუბრუნდი, პარტიულ-სამეურნეო სამუშაოზე გამგზავნეს, შემდეგ პარტიულ სამუშაოზე. მახსოვს მთელი რიგი ამხანაგები, რომლებთანაც ვმუშაობდი, — მაღაროს მმართველი, მაღაროელთა პროფკავშირის მაღაროს კომიტეტის თავმჯდომარე, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები. როგორ ვემზადებოდით ნორმების გადასინჯვისათვის იმ ხანებში, როგორ სერიოზულ ყურადღებას ვაქცევდით ამ საკითხს! ჩვენ მივედით მუშებთან და გულახდილად ველაპარაკებოდით მათ იმის შესახებ, რომ საჭიროა გამომუშავების ნორმის გადიდებაო. არაერთხელ მისაუბრია ამ საკითხებზე იმ მუშებთან, რომლებთანაც შახტში ვმუშაობდი რევოლუციამდე.

ეს იყო 1922 წელი. ჩვენ მივდიოდით მუშებთან და მათთან ერთად განვიხილავდით, როგორ აღგვედგინა დანგრეული მეურნეობა. იმ დროს მუშათა ზოგადსაგანმანათლებლო დონე და პოლიტიკური განათლება სრულიადაც არ იყო ისეთი, როგორიც ახლაა. პარტია ელაპარაკებოდა მუშებს ჩვენს სიძნელეებსა და ამოცანებზე და მუშებსაც ესმოდათ ეს. გვეთანხმებოდნენ, იღებდნენ და თვითონვე აწესებდნენ გამომუშავების სწორ, უფრო მაღალ ნორმებს.

ახლა კი როგორ არის ორგანიზებული ეს მუშაობა ჩვენში? ბევრი საწარმოსა და მშენებლობის [illegible] მა ორგანიზაციამ არ იცის, როდის გადაისინჯება ნორმები. ზოგან ამის შედეგად დანორმვის დიდმნიშვნელოვანი საქმე ბიუროკრატიულად, ბრძანებით ხორციელდება. ასეთი მიდგომა საქმისადმი სავსებით დაუშვებელია. პარტიული ორგანიზაციებისათვის არ არსებობს უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე მშრომელთა შორის მუშაობაა.

მე არაერთხელ მითქვამს და ახლაც მინდა გავიხსენო ნორმების გადასინჯვასთან დაკავშირებული ერთი ფაქტი. ეს იყო პეტროვსკის მაღაროში. ნორმების გადასინჯვის დროს სამჭედლოში შევედი, სადაც ძველ მჭედელს შევხვდი.

მან მკითხა: მისმინე, ხრუშჩოვ, რატომ გამოგზავნეთ ჩემთან ის გოგო, სამუშაო ადგილას, რომ დგას და ქრონომეტრს აჩხაკუნებს. მე ვიცი, თუ რატომ მოვიდა იგი, გადაწყვიტა შეამოწმოს გამომუშავების ნორმა. მისმინე: შენ მოდი და მითხარი რაც საჭიროა. მაშინ მეც გეტყვი, თუ რა ნორმა მაქვს ამჟამად და როგორ უნდა გავადიდო. ოღონდ მომაშორე ეს გოგო. ეს გასაგებიცაა. მას თავისთვის სამარცხვინოდ მიაჩნდა, რომ კონტროლს გაუწევდნენ და შეასწავლიდნენ ადამიანები, რომლებიც წარმოებას არ იცნობდნენ. მე ვუპასუხე, საჭიროა როგორღაც გავითვალისწინოთ მუშაობა მეთქი. მაშინ მან მითხრა: მომისმინე, რა ვქენი.

ვხედავ, რომ იგი დროს ზომავს, რაც დეტალის დამუშავებას ხმარდება. მაშინ განგებ გავაჩაღე ქურაში პატარა ცეცხლი. (ის კი კავებს აკეთებდა იზოლატორებისათვის). ავიღე ნაჭერი, გადავტეხე, ქურაში ჩავდე, გავახურე, გამოვჭედე, მერე წნელი ჩავდე. ის კი დგას და ყველაფერს ზომავს. შემდეგ დრო აღნიშნა, ნორმა გამოიანგარიშა და წავიდა.

როცა გოგო წავიდა, მეც ავიღე და გავაჩაღე დიდი ცეცხლი ქურაში და რკინის პატარა წნელი კი არ ჩავდე, არამედ უფრო დიდი და გავახურე. მე მაქვს სამარჯვი, ხელით კი არ ვღუნავ, როგორც იმ გოგოსთან, არამედ ამძრავი ჩაქუჩით. დარტყმა და კავი მზადაა. აი თქვენი ქრონომეტრაჟი, აი თქვენი ნორმა, რომელიც იმ გოგომ გამოიანგარიშა.

და ეს, ამხანაგებო, სწორია. მიდით მუშებთან, გულახდილად მოელაპარაკეთ და უთხარით, რომ საჭიროა შრომის ნაყოფიერების ამა და ამ დონით გადიდება და რა გზით უნდა მოხდეს ეს. მუშები თვითონვე გვიკარნახებენ, რადგანაც ყოველ მუშას აქვს თავისი რეზერვი, მე თვითონ მუშა ვიყავი და კარგად ვიცი, რომ ურეზერვოდ მუშა არ ცხოვრობს.

მოელაპარაკეთ მუშებს, უთხარით, რა უნდა გაკეთდეს და ისინიც სწორად გაგიგებენ. მაგრამ ამისათვის მუშასთან ისე კი არ უნდა მიხვიდე, როგორც ზოგიერთი ბიუროკრატი ადმინისტრატორი შვრება, არამედ როგორც ამხანაგი ამ მუშისა; მაშინ მუშა სულსა და გულს გადაგიშლის და გიჩვენებს შესაძლებლობებს, რომლებიც მოეპოვება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

ეს, ამხანაგებო, უმნიშვნელოვანესი საკითხია შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში.

საწარმოთა ხელმძღვანელობაში ჩვენში მოქმედებს ერთმმართველობის ლენინური პრინციპი. და ეს სწორია. მაგრამ ზოგიერთ ამხანაგს ცალმხრივად ესმის ერთმმართველობის პრინციპი, როგორც ადმინისტრირება, მბრძანებლობა, წარმოების ისე მართვა, რომ ამაში აქტიურად არ მონაწილეობდნენ მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები. ამ ამხანაგებს ავიწყდებათ ლენინური მითითება იმის შესახებ, რომ ერთმმართველობის პრინციპი სწორად უნდა იყოს შეხამებული მასების უაღრესად ფართოდ ჩაბმასთან წარმოების უშუალო მართვაში.

ჩვენ კომუნიზმისაკენ მივდივართ და ხაზს ვუსვამთ, რომ რომელიღაც ეტაპზე მოხდება სახელმწიფოებრივი, ადმინისტრაციული მართვის ორგანოების კვდომა, მაგრამ ეკონომიური მართვის ორგანოები დარჩება. მაშ კომუნიზმის დროსაც ერთი უნაკლო დირექტორის ხელში იქნება ყველა საქმის გამგებლობა?

ჩვენში გაიზარდა პარტია, გაიზარდნენ პროფკავშირები, მუშათა ორმოც პროცენტს საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს, შეიქმნა დიდი საინჟინრო ფენა. საჭიროა მთელი ეს უდიდესი საზოგადოებრივი ძალა უფრო აქტიურად მონაწილეობდეს წარმოების მართვაში. როგორც ჩანს, მიზანშეწონილია საწარმოებში და მშენებლობებზე შეიქმნას ფართოწარმომადგენლობითი ორგანოები — საწარმოო საქარხნო, საფაბრიკო და მსხვილ საწარმოებში — საამქრო კომიტეტები, რომლებსაც საწარმოში ან მშენებლობაზე მომუშავეთა საერთო კრება აირჩევს. ამ კომიტეტებში უნდა შედიოდნენ მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ასეთი კომიტეტები უნდა მონაწილეობდნენ გეგმების განხილვაში, მათი შესრულებისადმი კონტროლში, შრომის დანორმვაში, კადრების განაწილებაში. ამასთან საწარმოთა დირექტორები ჩააბარებენ ანგარიშს საწარმოთა მუშაობის შესახებ, მოეთათბირებიან კომიტეტებს წარმოების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მაგრამ დირექტორი დამოუკიდებლად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს და მთლიანად აგებდეს პასუხს სახელმწიფოს წინაშე იმისათვის, თუ რა ვითარებაა საწარმოში. საწარმოს საწარმოო კომიტეტი სათათბირო ორგანო უნდა იყოს.

საწარმოებში და მშენებლობებზე ასეთი საწარმოო კომიტეტების შექმნის მთავარი მიზანი ის არის, რომ საწარმოების საქმეთა მართვაში მოვიზიდოთ, ჩავაბათ მომუშავეთა უფრო ფართო წრე. ასეთი საზოგადოებრივი ორგანოები არჩევითი უნდა იყოს.

ერთმმართველობის ლენინური პრინციპი აქ არ ირღვევა, მაგრამ პირობები რომ იცვლება, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში ძლიერდება საზოგადოებრიობის როლი წარმოების მართვაში. ამიტომ თვითეულ შეგნებულ მუშას კარგად ესმის, რომ საწარმოს ხელმძღვანელი მხოლოდ მაშინ შეასრულებს კარგად თავის მოვალეობას, როცა უზრუნველყოფილი იქნება კოლექტივის ამხანაგური მხარდაჭერით. ასეთი ადამიანი პატივისცემის ღირსი, აღიარებული იქნება. ადამიანები არა მარტო შეასრულებენ მის განკარგულებებსა და მითითებებს, არამედ ეცდებიან გააკეთონ ეს რაც შეიძლება უკეთ, სულით და გულით. ასეთი მდგომარეობა კარგ ურთიერთობას ქმნის კოლექტივში და უკეთ დააკმაყოფილებს როგორც თვითეულს ცალკე, ისე მთელ კოლექტივს ერთად.

ზოგიერთმა ამხანაგმა შეიძლება იფიქროს, ეს რას გამოიწვევსო? ეს მხოლოდ კარგ რამეს გამოიწვევს. ჩვენ ახლა ბევრს ვლაპარაკობთ პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციაზე. მაგრამ ბევრმა მუშაკმა ჯერ კიდევ მთლიანად როდი აღმოფხვრა პიროვნების კულტის პერიოდის ზნე-ჩვეულებანი, იმ დროის არასწორი წარმოდგენები.

უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ახალგაზრდები იყვნენ რევოლუციის პირ-

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

[illegible] წლებში, თუ როგორ ხელმძღვანელობდნენ მაშინ საწარმოებს. როგორ ვმართავდით საწარმოებს? ჩვენ ომით დანგრეული მრეწველობა ძნელ პირობებში აღვადგინეთ. ჩვენი მაღარო, რომელშიც სამოქალაქო ომის შემდეგ ვმუშაობდი, იმდენ ქვანახშირს იღებდა, რომ არ შეგვეძლო ჩვენი ელექტროსადგურის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაშინ აბაკუმოვი, რომელიც უფრო გვიან ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, თვითონ პროფესიით მეშახტე (მაშინ მახნოელებს, ბანდიტებს დასდევდა), პარტკომში მივიდა და თქვა:

— ბიჭებო, ბანდიტების დევნა სხვებსაც შეუძლიათ. თუ მაღაროს მმართველად დამასახელებთ, პირობას გაძლევთ, რომ ქვანახშირს მოვიპოვებთ არა მარტო ჩვენი ელექტროსადგურისათვის, არამედ მივცემთ ქვანახშირს ჩვენს ქვეყანას!

ვინ წყვეტდა მაშინ ამ საკითხებს? პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პარტიული კომიტეტი.

პარტიულ კომიტეტში თქვეს:

— მართალს ამბობს იაგორი!

და დანიშნეს იაგორ აბაკუმოვი მაღაროს მმართველად.

მეც ასე შემემთხვა. არმიიდან დავბრუნდი და მყისვე პარტიულ კომიტეტში მივედი. იკითხეს, ნიკიტა სად გავგზავნოთო? და გადაწყვიტეს, მოდით, აბაკუმოვთან მოადგილედ გავუშვათ, ქვანახშირი ამოიღოსო. და ჩვენ მასთან ერთად ვიღებდით ქვანახშირს.

ახლა ჩვენში ზოგიერთ მუშაკს რატომ ეშინია კოლექტივში მისვლა, რათა მოეთათბიროს მას. ასეთი ადამიანები ფიქრობენ, რომ ყველაფერს ხედავენ და მხოლოდ ისინი ქადაგებენ ჭეშმარიტებას, დანარჩენებმა კი უნდა უსმინონ და თქვან: „არის!" მაგრამ სამხედროებთანაც კი, როცა ხელქვეითი ამბობს „არისო", მას სთხოვენ გაიმეოროს: კი მაგრამ როგორ გაიგე და როგორ შეასრულებ ამ „არის"?

ამიტომ მე მიმაჩნია და ღრმად ვარ დარწმუნებული, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრს მიაჩნია, რომ საწარმოთა და მშენებლობათა მართვაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოების ამ ღონისძიებათა განხორციელება დიდ დადებით შედეგებს მოიტანს. დიახ, ამხანაგებო, რასაკვირველია, მოგვიხდება გარკვეული დრო წარმოების ხელმძღვანელობის სხვადასხვა ღონისძიებათა შემუშავების დროს. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ საჭიროა ყოველი ბრძანების ახსნა-განმარტება, რათა იგი სწორად გაიგონ. თუ კი თქვენ მანამ, ვიდრე ბრძანებას გამოსცემთ, შეკრებთ კომიტეტს და განიხილავთ მუშებში, ტექნიკოსებში, პროფკავშირული, კომკავშირული, პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობით, ყველა ღონისძიებას, რომლებიც ბრძანებაში უნდა ჩამოყალიბდეს, მაშინ ამ ბრძანებას უფრო მეტი მნიშვნელობა და ძალა ექნება. მას ყველა კარგად გაიგებს.

ამით თქვენ დარაზმავთ ათასობით ადამიანს ყოველივე იმ ახლისათვის საბრძოლველად, რაც შეიმუშავეთ და რის განხორციელებაც გადაწყვიტეთ. თუ თქვენ ნამდვილად კარგი საქმე შეიმუშავეთ, მის წარმატებას უზრუნველყოფს ის, რომ ამ საქმეს აქტიურად დაუჭერს მხარს მთელი კოლექტივი. ვისაც ეს არ ესმის, მას არ ესმის ჩვენი სახელმწიფოს არსი, წარმოების ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების არსი.

არ ვიცი, შევძელი თუ არა დასაბუთება, თუ რაოდენ მომწიფდა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი!

საწარმოო კომიტეტების შექმნა თავდაპირველად უნდა მოხდეს საცდელად რამდენიმე ქარხანაში და მშენებლობაზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ოლქში. ხოლო შემდეგ, გარკვეული ვადა რომ გავა, განვაზოგადოთ მათი მუშაობა და გადავჭრათ ამ გამოცდილების სხვა საწარმოებში და მშენებლობებზე გავრცელების საკითხი.

ჩვენ, კომუნისტები, მარქსისტ-ლენინელები, მხარს ვუჭერთ ცენტრალიზებულ სოციალისტურ სახალხო მეურნეობას, რომელსაც უნდა ვუძღვებოდეთ ერთიანი გეგმით, და ამასთანავე იმის მომხრე ვართ, რომ საწარმოთა მართვაში ფართოდ განვითარდეს დემოკრატიული საწყისები. ერთისა და მეორის სწორი, გონივრული შეხამება კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

ამხანაგებო! საწარმოთა და მშენებლობათა შინაგან ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი, — [illegible] და აღზრდის საკითხებით — ყოველთვის უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების თვალთახედვის არეში. აქ არ არის წვრილმანი, მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო საკითხები. აქ ყველაფერი მნიშვნელოვანია, ყველაფერი დაკავშირებულია ერთმანეთთან.

სახალხო მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს კადრების დენადობა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში ბევრი წინადადება შემოდის იმის თაობაზე, თუ როგორ ვებრძოლოთ მუშახელის დენადობას. წინადადებას აყენებენ, მაგალითად, რომ ბინების განაწილება და შვებულების ხანგრძლივობა დავუკავშიროთ საწარმოში და მშენებლობაზე მუშაობის განუწყვეტელ სტაჟს, შევიმუშაოთ იმ მშრომელთა მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი, რომლებსაც მრავალ წელს უმუშავნიათ ერთ საწარმოში. შესაძლოა საჭირო იყოს სერიოზული ცვლილებანი შევიტანოთ შრომის კანონმდებლობაში, მხედველობაში მივიღოთ მშრომელთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების უფრო სწორი შეხამება, ამასთანავე საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი მუშაობა მასებში, ჩავუნერგოთ ყოველ მშრომელს მაღალი მორალური პრინციპები, იმის გრძნობა, რომ თვითეული პასუხისმგებელია თავისი მუშაობისათვის საწარმოს კოლექტივის წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

კადრების შენარჩუნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უზრუნველვყოთ მუშები და მოსამსახურეები ბინით, საბავშვო დაწესებულებებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებით. ამასთან საჭიროა ვითვალისწინებდეთ ბუნებრივ პირობებს. სხვაა ჩვენი ქვეყნის სამხრეთი და ცენტრალური რაიონები და სხვა — ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი რაიონები.

მიმდინარე წლის ზაფხულში მურმანსკისა და არხანგელსკის ოლქებში ვიყავი. ეს უმდიდრესი მხარეა, რომელსაც ეკონომიური განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. მაგრამ ამ რაიონებში მუშახელის ნაკლებობა იგრძნობა. იმისათვის, რომ მშრომელი ადამიანები წავიდნენ და დარჩნენ იქ, საჭიროა უზრუნველვყოთ ისინი ბინით, ავაშენოთ დაბებსა და ქალაქებში სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, მაღაზიები, საბავშვო დაწესებულებანი. წესად უნდა შემოვიღოთ, რომ ახალი მშენებლობის რაიონებში განსაკუთრებით ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის რაიონებში ახალ სამრეწველო საწარმოთა აგების დროს აუცილებლად იქმნებოდეს საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

თუ იქ არ შეიქმნა ნორმალური პირობები მუშაობის, სწავლისა და დასვენებისათვის, ადამიანები ძნელ მდგომარეობაში ჩქნებიან.

თავის დროზე მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ ადგილებზე არ გატაცებულიყვნენ კლუბებისა და სხვა არასწორი ობიექტების მშენებლობით. ეს სწორი იყო. მაგრამ პრაქტიკულად ამ საქმეში დაშვებულია დამახინჯებანი. ბიუროკრატები აღარ აშენებენ კლუბებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს იქაც კი, სადაც უაღრესად საჭიროა. ერთი საქმეა არ აშენო კლუბები იმ ქალაქებში, სადაც უკვე არის თეატრები, კლუბები და სადაც სურთ კიდევ ააშენონ. მათ უთხრეს: შეიძლება დაიცადოთ ერთი-ორი წელიწადი. და სხვა საქმეა კოლის ნახევარკუნძულზე ან ჩრდილოეთის სხვა რაიონებში. ჩადიან იქ ადამიანები სამუშაოდ, იქ კი არ არის კლუბი, არც სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. ბიუროკრატები კი ამბობენ, მშენებლობა არ შეიძლებაო. განა ეს შეიძლება დავუშვათ? თუ ასე მოვიქცევით, მაშასადამე ბრიყვულად მოვიქცევით!

საჭიროა, რომ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა გათვალისწინებულ იყოს გეგმიანი წესით და განუყოფელ ნაწილად შედიოდეს ახალ საწარმოთა მშენებლობაში.

აქ გამოითქვა მხოლოდ ზოგიერთი დებულება ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების, მრეწველობისა და მშენებლობის დაგეგმვის და მართვის სრულყოფის, შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ. ყველა ეს და სხვა ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ ჩვენი წარმოება უფრო სწრაფად მიდიოდეს წინ, უმჯობესდებოდეს ხალხის ცხოვრება.

## III.

## გულმოდგინედ ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

ამხანაგებო! ერთ წელიწადზე ნაკლები ხნის წინათ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ღრმად და ყოველმხრივ განვიხილეთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები. მწვავედ გაკრიტიკებულ იქნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი სწორად აღნიშნავდა, რომ ჩვენი კადრების გარკვეულ ნაწილში თავი იჩინა ყოყოჩობამ და თვითდამშვიდებამ, დაუჩლუნგდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ყველაზე არსებითი საკითხების გადაჭრისათვის პარტიისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. ამან გამოიწვია ის, რომ სოფლის მეურნეობამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში განვითარების ტემპებით დასახული დავალებებისაგან ჩამორჩენა იწყო.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კომუნისტური მშენებლობის ძირეული ამოცანების გათვალისწინებით მიიღო გადაუდებელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა აიყვანოს იმ მოთხოვნების დონეზე, რომლებსაც მას უყენებს ჩვენი საზოგადოების განვითარების მსვლელობა, სკკპ ახალი პროგრამა.

პარტიამ გარდაქმნა სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა. ჩვენ შევქმენით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის პრინციპულად ახალი ორგანოები — ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები. მათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუსახა მთავარი ამოცანა — ღრმად შეისწავლონ წარმოება თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, დანერგონ მეცნიერების მიღწევები და შრომის მოწინავე მეთოდები, ეფექტიანად გამოიყენონ ყოველი ჰექტარი მიწა. მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის კრიტიკამ სოფლის მეურნეობის მუშაკებს უჩვენა ახალი დიდი შესაძლებლობანი მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

ამავე დროს პარტიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობისადმი მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაძლიერების, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების ღონისძიებათა ფართო სისტემა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თვისებრივ გაუმჯობესებას. მხედველობაში მაქვს უფრო მძლავრი ტრაქტორების გამოშვება, მოსავლის ასაღები პირფართო ტექნიკის და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა მანქანების წარმოება.

ამ ცოტა ხნის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება მძლავრი ტრაქტორების წარმოებაზე გადაიყვანოს ერთ-ერთი უდიდესი მანქანათსამშენებლო ქარხანა — ლენინგრადის კიროვის ქარხანა. იგი სოფლის მეურნეობას მიაწვდის 220 ცხენძალის სიმძლავრის ათასობით ტრაქტორ „კიროვეცს". ეს იქნება ყველაზე მძლავრი და ყველაზე თანამედროვე ტრაქტორი, როგორც იტყვიან, ასეთ ტრაქტორს ჩვენში აქვს გასაქანი — ციმბირის, ყაზახეთის, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, სამხრეთ უკრაინის უსაზღვრო ველებში. იზრდება აგრეთვე სხვა მარკის ტრაქტორების სიმძლავრენი. ვოლგოგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები გადადიან ჩქარული ტრაქტორების გამოშვებაზე.

ახლა პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა განიხილავენ კიდევ ერთი დიდი სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის საკითხს, რომელიც წელიწადში დაახლოებით 100 ათას ტრაქტორს გამოუშვებს. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მრეწველობა ზრდის თავის სიმძლავრეებს, რათა სავსებით დააკმაყოფილოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება თანამედროვე ტექნიკაზე.

წყდება აგრეთვე სოფლის მეურნეობისადმი დახმარების სხვა ამოცანები. ამას წინათ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მიიღეს დადგენილება მინერალური სასუქების წარმოების გადიდების შესახებ. 1966 წელს სასუქების წარმოება მიაღწევს 41 მილიონ ტონას 1962 წლის 17 მილიონი ტონის ნაცვლად.

განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად. მხედველობაში მაქვს უპირველეს ყოვლისა ხორცისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტის შესასყიდი ფასების გადიდება. ამის შედეგად კოლმეურნეობანი ერთ წელიწადზე გაანგარიშებით დამატებით მიიღებენ 1200 მილიონ მანეთს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ყველა საბჭოთა ადამიანს მთელი ძალღონის დაძაბვით იბრძოლონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოება დღეს კომუნისტური მშენებლობის დაკვრითი ფრონტია.

ცხადია, ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ ჯერ კიდევ ცოტა დრო გავიდა და პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გავლენა სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგებზე მიმდინარე წელს არ შეიძლება მთლიანად გამოვლინებულიყო. და მაინც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მუშათა კლასისა და მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური დახმარებით წელს ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ განეხორციელებინათ მიღებული გადაწყვეტილებანი. ამ დღეებში გამოქვეყნდა ბარათი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი წლის შედეგების შეჯამების, მარცვლეულის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების საკითხებზე. ამ ბარათში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი გეგმების შესრულებას სოფლის მეურნეობის დარგში.

მიმდინარე წელი, როგორც ყველამ იცით, მეტად მძიმე იყო სოფლის მეურნეობისათვის. ციმბირსა და ყაზახეთში დიდი სიცხე იყო, განსაკუთრებით პურის დამწიფების მომენტში. ამავე დროს ბელორუსიაში, ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში, რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში ცივი წვიმიანი ზაფხული იყო, რის შედეგად მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა. გვალვა გავრცელდა სამხრეთ უკრაინის რაიონებში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მოჰყავთ საშემოდგომო ხორბალი და სამარცვლე სიმინდი.

ამ რთულ პირობებში სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მაღალი ორგანიზებულობა გამოიჩინეს. მილიონობით კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობების მუშა ღირსეულად შრომობდა მინდვრებსა და ფერმებში. მათი შრომა სერიოზული წარმატებით დაგვირგვინდა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, შარშანდელთან შედარებით, გაადიდეს მარცვლის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ხილის, ჩაის ფოთლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

მიმდინარე წელს მარცვლის წარმოება გაიზარდა 9 მილიარდ ფუთამდე ნაცვლად 1953 წლის 5 მილიარდისა; ხორცის წარმოება მიაღწევს 9,2 მილიონ ტონას ნაცვლად 1953 წლის 5,8 მილიონი ტონისა; რძისა — 64,5 მილიონ ტონას ნაცვლად 1953 წლის 36,5 მილიონი ტონისა; კარაქი წარმოებულ იქნება დაახლოებით 950 ათასი ტონა, მაშინ როცა 1953 წელს წარმოებული იყო 497 ათასი ტონა.

სახელმწიფომ შესაძლებლობა მიიღო გაზარდოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების შესყიდვა. მოვიყვან რამდენიმე ციფრს. ეს ციფრები არ არის საბოლოო, ვინაიდან პროდუქტების დამზადება გრძელდება. 1962 წლის 15 ნოემბრისათვის შესყიდულია: მარცვალი — 3 მილიარდ 442 მილიონი ფუთი, მაშინ როცა მთელი 1953 წლის განმავლობაში დამზადებული იყო 1 მილიარდ 899 მილიონი ფუთი; ხორცი შესაბამისად: 7,2 მილიონი და 3,6 მილიონი ტონა; რძე — 27 მილიონი და 10,6 მილიონი ტონა.

ჩვენი მტრები ხშირად ღვარძლიანად და დაცინვით წერენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრი ნაკლი და გამოუყენებელი შესაძლებლობები გვაქვს, პარტია გაბედულად ააშკარავებს მათ. მაგრამ მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ იმ ჭეშმარიტად ტიტანურ მუშაობას, რომელიც ჩვენმა ხალხმა განახორციელა სოფლის მეურნეობის დარგში. თუ 1953 წელს ვამზადებდით 1 მილიარდ 899 მილიონ ფუთ პურს, ახლა კი უკვე შევისყიდეთ 3 მილიარდ 442 მილიონი ფუთი. ეს ჩვენი პარტიის პოლიტიკის დიდი გამარჯვების დადასტურებაა. ეს არის ჩვენი ხალხის გმირობის, კომუნიზმის საქმისადმი მისი უსაზღვრო ერთგულების შედეგი.

მიღწევები, რომლებიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიპოვეს მარცვლის დამზადებაში 1962 წელს, შემთხვევითი როდია. ეს არ არის რაიმე განსაკუთრებული ხელშემწყობი პირობების დამთხვევა. არა, პირობები, როგორც უკვე აღვნიშნე, ზოგ რაიონში ხელს არ უწყობდა მოსავალს. და თუ ჩვენ ახლა გაცილებით მეტი პურის შესყიდვას ვაწარმოებთ, ეს ყამირი მიწების ათვისების, სიმინდის ფართოდ დანერგვის შედეგია. აი ზოგიერთი მონაცემი.

შესყიდულია მარცვალი.

| | | |
|---|---|---|
| 1953 | წელს | — 1 მილიარდ 899 მილიონი ფუთი |
| 1959 | „ | — 2 მილიარდ 847 მილიონი ფუთი |
| 1960 | „ | — 2 მილიარდ 853 მილიონი ფუთი |
| 1961 | „ | — 3 მილიარდ 181 მილიონი ფუთი |
| 1962 | „ | — 3 მილიარდ 442 მილიონი ფუთი |

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მიმდინარე წელს მარცვლის შესყიდვის გადიდებაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს რუსეთის მშრომელებმა. რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2 მილიარდ 216 მილიონი ფუთი პური. ეს მეტია, ვიდრე მზადდებოდა პური მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ყოველ ომისშემდგომ წელს ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმამდე. მხურვალედ მივესალმები რუსეთის ფედერაციის მშრომელებს მოპოვებულ წარმატებათა გამო. პატივი და დიდება კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებს, რუსეთის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს, რომლებმაც შესანიშნავი ნიმუში გვიჩვენეს პურისათვის ბრძოლაში!

არ შეიძლება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე [illegible]

(მილიონი ფუთი)

| | 1962 წელს | 1953 წელს |
|---|---|---|
| [illegible] | 214 | 27 |
| [illegible] | 193 | 48 |
| [illegible] | 183 | 51 |
| [illegible] | 182 | 105 |
| [illegible] | 150 | 63 |
| [illegible] | 128 | 45 |
| [illegible] | 96 | 58 |
| [illegible] | 94 | 32 |
| [illegible] | 90 | 30 |
| კურგანის ოლქმა | 80 | 42 |
| ვორონეჟის ოლქმა | 71 | 17 |
| კუიბიშევის ოლქმა | 60 | 46 |
| თათრეთის ასს რესპუბლიკამ | 56 | 49 |
| პენზის ოლქმა | 44 | 30 |
| ტამბოვის ოლქმა | 43 | 16 |

ამ ოლქების სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომამ მთელი ხალხის პატივისცემა და მადლობა დაიმსახურა.

კარგად იმუშავეს უკრაინის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა. იმ პირობებში, როცა რესპუბლიკის ოლქების ნაწილში გვალვა იყო, უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 638 მილიონი ფუთი მარცვალი.

ამასთან ბევრმა ოლქმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა მარცვლის შესყიდვის გეგმა. პურისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

| | | |
|---|---|---|
| კიროვოგრადის ოლქმა | | |
| სახელმწიფოს მიჰყიდა | 62 | მილიონი ფუთი მარცვალი |
| პოლტავის ოლქმა | 50 | „ „ „ — „ |
| ვინიცის ოლქმა | 45 | „ „ „ — „ |
| ჩერკასის ოლქმა | 36 | „ „ „ — „ |
| დონეცკის ოლქმა | 32 | „ „ „ — „ |
| ხმელნიცკის ოლქმა | 29 | „ „ „ — „ |
| კიევის ოლქმა | 24 | „ „ „ — „ |
| სუმის ოლქმა | 24 | „ „ „ — „ |
| ჩერნიგოვის ოლქმა | 17 | „ „ „ — „ |

უნდა ითქვას, რომ უკრაინაში მარცვლის წარმოებისა და შესყიდვის გადიდებაში დიდი როლი შეასრულა სიმინდმა. მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 241 მილიონი ფუთი სიმინდი, მათგან კიროვოგრადის ოლქმა — 45 მილიონი ფუთი, [illegible] ოლქმა — 22, ჩერკასის ოლქმა — [illegible], ვინიცის ოლქმა — [illegible], დონეცკის ოლქმა — 9 მილიონი ფუთი.

ამ და სხვა ოლქების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს მარცვლის შესყიდვის გეგმა, ღირსეული მაგალითი მისცეს მთელ უკრაინას, გამოავლინეს სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის ღრმა გაგება. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით უკრაინის სოფლის მეურნეობის სახელოვან მშრომელებს და ვუსურვებთ წარმატებით იმუშაონ მომავალ წელს.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ყაზახეთის შესახებ. 1962 წელს ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 501 მილიონი ფუთი მარცვალი. ეს სრულიადაც არ ასახავს რესპუბლიკის შესაძლებლობებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს, რომ ყამირზე გვალვიანი ზაფხული იყო. მაგრამ საქმე მარტო გვალვა როდია. ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პარტიის ყამირის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო აღმასკომის ხელმძღვანელები, ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები არ ითვალისწინებენ ყამირის მიწათმოქმედების თავისებურებებს, ყურად არ იღებენ მოწინავე მეცნიერებისა და პრაქტიკის ხმას, უყურადღებოდ მიაგდეს მიწები. პარტიის XXII ყრილობაზე და ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე სერიოზული შენიშვნები გამოითქვა ყაზახეთის რესპუბლიკისა და ყამირის მხარის ხელმძღვანელების მიმართ. რესპუბლიკისა და მხარის ხელმძღვანელებმა საქმით უნდა დაგვანახონ თავიანთი უნარი იბრძოლონ პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ყაზახეთში საქმის ვითარებას რომ ვაკრიტიკებთ, საჭიროა ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მოვახსენო, რომ მიმდინარე წლის რთულ პირობებშიც კი ბევრმა მეყამირემ გამოიჩინა მამაცობა შრომაში, კარგად იმუშავა და მოიპოვა სერიოზული წარმატებანი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სხვებსაც შეეძლოთ უკეთესი შედეგების მოპოვება.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ კუსტანაის ოლქის ამანგელდის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 30 ათასი ფუთი მარცვალი. უკანასკნელ ორ წელიწადში აქ მოიხნა 400 ათას ჰექტარზე მეტი ყამირი მიწა. მიმდინარე წელს ამანგელდის საწარმოო სამმართველოს (უფროსი ამხ. კოზიბაევი, პარტორგი ამხ. გორბაჩოვი) საბჭოთა მეურნეობებმა 269 ათასი ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 10,2 ცენტნერი ხორბალი. სახელმწიფოს მიჰყიდეს 16 მილიონი ფუთი მარცვალი, 7,4 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე.

საბჭოთა მეურნეობა „სარიუბენსკიმ" დათესა სულ 35 ათასი ჰექტარი მარცვლეული, აქედან 27 ათასი ჰექტარი ხორბალი, საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მთელ ფართობზე მოიყვანა 14,1 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე და სახელმწიფოს მიჰყიდა 2 მილიონ 359 ათასი ფუთი მარცვალი — 11 ცენტნერი ჰექტარზე.

საბჭოთა მეურნეობა „კოქტაუსკიმ" დათესა 44 ათასი ჰექტარი მარცვლეული, აქედან 37 ათასი ჰექტარი ხორბალი. ხორბლის მოსავალი მთელ ფართობზე მოყვანილია 13 ცენტნერი ჰექტარზე. საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 2 მილიონ 500 ათასი ფუთი მარცვალი, ანუ 9,6 ცენტნერი ჰექტარზე. და ეს, ამხანაგებო, მოიყვანეს კუსტანაის ოლქის უკიდურეს სამხრეთში, წლევანდელი ზაფხულის პირობებში!

ცელინოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კრასნოსელსკის" კოლექტივმა 34 ათასი ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 9,6 ცენტნერი ხორბალი. ამასთან 5025 ჰექტარ ფართობ ანეულში დათესილმა ხორბალმა მოგვცა საშუალოდ 16,7 ცენტნერი ჰექტარზე, აქედან „აკმოლინური-5" ჯიშმა 22,3 ცენტნერი ჰექტარზე, 450 ჰექტარ ნასიმინდარ ფართობზე დათესილმა ხორბალმა მოგვცა 13 ცენტნერი ჰექტარზე. ხოლო იქ, სადაც რვა წლის მანძილზე ხორბალს ზედიზედ თესავდნენ, ჰექტარზე საშუალოდ 4-6 ცენტნერი მიიღეს. 1109 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე ჭვავის მოსავალმა 13,7 ცენტნერი შეადგინა. ბარდამ 940 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოგვცა 10,2 ცენტნერი, ხოლო „ულიანოვკური-303" ჯიშმა, როცა თესვის ნორმა 250 კილოგრამი იყო, ჰექტარზე საშუალოდ 16,3 ცენტნერი მოგვცა.

რას მოწმობენ ეს მაგალითები? თუ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ექნებათ სარეველებისაგან გაწმენდილი მიწები, თუ იბრძოლებენ თითეული წვეთი ტენისათვის ნიადაგში, დათესავენ ჯიშიან თესლს, შეიძლება ყოველთვის ვიქონიოთ კარგი მოსავლის იმედი. და აქ უწინარეს ყოვლისა საქმე გაწმენდილი მიწებია. განა წლევანდელი წლისათვის ცუდია სიმინდის შემდეგ 13 ცენტნერი ხორბალი მივიღოთ ჰექტარზე? ეს ძალიან კარგია.

ბოლოს და ბოლოს უნდა აღიკვეთოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმართ მბრძანებლობის ცდები, როცა ანგარიშს არ უწევენ სპეციალისტებისა და პრაქტიკოსების აზრს. ამის თქმა იმიტომ ხდება საჭირო, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიმართ ხშირად აეშლებათ ხოლმე ადმინისტრირების საღერღელი, მათ თავს ახვევენ თესვის ვადებს, აგროტექნიკას. ამას ზიანის მეტი არაფერი არ მოჰყვება. პატივისცემით უნდა ვეკიდებოდეთ სპეციალისტების აზრს, მხარს ვუჭერდეთ იმას, რაც მეცნიერებამ აღმოაჩინა და პრაქტიკით აპრობირებულია.

პარტიული, საბჭოთა მუშაკები, საწარმოო სამმართველოთა ხელმძღვანელები უწინარეს ყოვლისა თვითონ უნდა სწავლობდნენ და არა ცდილობდნენ გასწიონ სამეცნიერო დაწესებულებათა მაგივრობა და ასწავლონ სხვებს. თუ ჩვენ დავიწყეთ სწავლება, მიწიერი აგროტექნიკის მიმართ მთვარიდან მბრძანებლობა, მაშინ ჩვენთვის სამეცნიერო დაწესებულებანი კი აღარ არის საჭირო, არამედ ადმინისტრატორები. მაგრამ ხელმძღვანელობის ასეთი, უკაცრავად პასუხია, „მეთოდი" ჯერ კიდევ ჩვენს დაბადებამდე აიღო სასაცილოდ რუსმა მწერალმა სალტიკოვ-შჩედრინმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაზეთ „კომუნისტის" დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია.

რედაქტორის მოადგილე გ. ვარდოსანიძე.

უე 00756

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.